დოკუმენტი, სადაც მე-8 თავში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. გეგმის შემუშავება გაწერილია ეტაპებად და სტრატეგიული დაგეგმვის მეოთხე ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება; თავი 12. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიული დაგეგმვის მეხუთე ეტაპზე ფორმდება სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში. სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებები დასაშვებია და ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. ცვლილების მიზეზი შეიძლება იყოს: კანონმდებლობის ცვლილება, ეროვნულ დონეზე ახალი სტრატეგიების დამტკიცება, სკოლის მისიის შეცვლა, სკოლის მენეჯმენტის შეცვლა, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ ზოგიერი მიზნის მიღწევა არაა შესაძლებელი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან აღარაა რელევანტური და სხვ.

სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა შეიძლება შეიცვალოს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, მისიაში/ხედვაში/სტრატეგიულ გეგმებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად და სხვ.

შესაბამისად ინდიკატორი 1.2.2.1 „სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც მე-12 თავში წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისას აგროვებს მონაცემების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შესაბამის მტკიცებულებებს. შეფასებისას ახდენენ შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

შესაბამისად ინდიკატორი 1.2.2.2 „მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გასაჯაროება და გაზიარება ხდება მეთოდოლოგიაში გაწერილი ორი ალტერნატივით, ან დრაივზე გაზიარებული დოკუმენტით ან ანგარიშების წარმოდგენის მეთოდით დაინტერესებულ მხარეებთან.

წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის წლის ბოლოს და ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, ამ დროს ხდება დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამომწვევებთან გამკლავებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად ინდიკატორი 1.2.2.3 „ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;“ სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარება სკოლაში მიმდინარეობს ციკლურად.

ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება საშუალებას აძლევს სკოლას სანდო მტკიცებულებებზე დაყრდნობით , მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე, განახორციელოს მნიშვნელოვანი ცვლილებები. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განიხილება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე, თითოეული ეს რგოლი ახდენს შესაბამის შეფასებას შემაჯამებელ სხდომებზე. წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს სკოლა/დირექტორი აბარებს სამეურვეო საბჭოს ,ასევე, ანგარიშები გაზიარებულია მშობელთა კრებაზე, რომელიც იმართება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს ,ყველა დაინტერესებული პირი იღებს სრულყოფილ ინფორმაციას სასწავლო წლის მანძილზე სკოლის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ და სკოლა ითვალისწინებს მშობელთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
2. სამოქმედო გეგმა.

3. კათედრის ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მშობელთა გამოკითხვა

5. მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

44



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სსიპ- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულ, გრაფიკულად წარმოდგენილ სტრუქტურაში ჩანს სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ურთიერდაქვემდებარება და კავშირი. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდაა წარმოდგენილი სკოლის წესდებაში და მათ დებულებებში, რომელიც განსაზღვრავს იერარქიულ სტრუქტურას და რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია თითოეული თანამშრომლისთვის და სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზციული სტრუქტურის შემდეგი სავალდებულო სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, 6 საგნობრივი კათედრა: სკოლაში მუშაობს საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.

დასაქმებული პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული ხელშეკრულებებში, საკადრო პოლიტიკის მართვის დოკუმენტში, სკოლის შინაგანაწესში, სკოლის წესდებაში.

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალისთვის ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების გაცნობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა მოიცავს შემდეგ დეტალებს: სამუშაოს იდენტიფიცირება, სამუშაოს აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება, შესრულების შეფასება და სხვა.

სკოლაში არის სულ 43 თანამშრომელი, 28 უფროსი მასწავლებელი, 2 უსტატუსი მასწავლებელი დროებითი ხელშეკრულებით, სკოლის დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბიბლიოთეკარი, 1 საქმის მწარმოებელი, 2 დამლაგებელი, 3 დარაჯი, 1 ბუღალტერი, 2 ცეცხლფარეში (სეზონურად) 1 ექიმი, 1 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 საინფორმაციო მენეჯერი.

ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულება და მათი პირადი

საქმეები მოიცავს ყველა სავალდებულო დოკუმენტს.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2..სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები შესაბამისობაშია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში, შეიმუშავებს საშტატო განრიგს, მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. უზრუნველყოფს პედაგოგებთან ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, დებს ხელშეკრულებებს სკოლის ტექნიკურ თანამშრომლებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს. ზედამხედველობს დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს. სკოლას მართავს დემოკრატიული პრინციპების დაცვით, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

დირექტორს სასწავლო პროცესის მართვაში ეხმარება მოადგილე, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, ზედამხედველობას უწევს მასწავლებელთა ურთიერთდასწრებას, მასწავლებლების მიერ შემაჯამებელი სამუშაოების მიზნებისა და განრიგის მოწოდებას, შეფასებული შემაჯამებელი სამუშაოების მონიტორინგს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ხელს უწყობს კათედრების საქმიანობას. ხელს უწყობს ახალი თაობის ესგ დანერგვას სასწავლო პროცესში, სემესტრული, ექსტერნი, ნიშნის ასამაღლებელი, წლიური გამოცდისთვის ინსტრუმენტების შემუშავებას, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მართვას. ამოწმებს ელექტრონულ ჟურნალებს, უწევს მონიტორინგს სასწავლო პროცესს დისტანციური და პირისპირ სწავლებისას. ზედამხედველობს სპეც მასწავლებლების მუშაობას და ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს. ბუღალტერი დირექტორთან ერთად ადგენს სკოლის თანამშრომლების საათობრივი დატვირთვის შესაბამისად ტარიფიკაციას, გასცემს ხელფასს და ასრულებს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც ქმნის, აწარმოებს და აარქივებს სკოლის საქმისმწარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ტიპის ინფორმაციას მაგ: მოსწავლის პირადი საქმე, რომლის მოწესრიგებაშიც ეხმარება დამრიგებელი, ადგენს პროექტებს, რომლის საფუძველზეც დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს. საქმისმწარმოებელი ასრულებს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

სკოლის ბიბლიოთეკარი ხელს უწყობს წიგნადი ფონდის განახლებას მასწავლებელთა რეკომენდაციით, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. აღრიცხავს, დაამუშავებს, დააარქივებს და ჩამოწერს საბიბლიოთეკო დოკუმენტებს, ასრულებს მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებს, რომელიც გათვალისწინებულია სამსახურეობრივი ხელშეკრულებით.

სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი, 3 დარაჯი და 2 ცეცხლფარეში, 1 ექიმი .

სკოლის ტექნიკური პერსონალი ვალდებულია იზრუნოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სკოლის შენობის (მაგ: საკლასო ოთახი, დერეფანი, სველი წერტილები) სისუფთავესა და სანიტარული ნორმების დაცვაზე. ასევე შეასრულოს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ სხვა მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



სკოლის დარაჯი უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, სკოლის შენობისა და ქონების დაცვას. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლის ექიმი ახორციელებს სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, ხელს უწყობს იმუნიზაციის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, უწევს პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, ასევე აწარმოებს სპეციალურ სამედიცინო დოკუმენტაციას .

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლის სამეურვეო საბჭო არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც შედგება 3 მასწავლებლის, 3 მშობლის და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისგან. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია აირჩიოს ხმათა უმრავლესობით სკოლის დირექტორი, სკოლის დირექტორის წარდგინებით დაამტკიცოს სკოლის ბიუჯეტი, სკოლის შინაგანაწესი, დირექტორის წლიური ანგარიში, შეითანხმოს პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, საკუთარი კანდიდატი წარუდგინოს დისციპლინურ კომიტეტს, აკონტროლოს დირექციის მიერ ქონების ხარჯვა და ქონების განკარგვა. სამეურვეო საბჭოს მრჩეველთა საბჭოში წარმოადგენს თავმჯდომარე;

მრჩეველთა საბჭოში მუდმივმოქმედ წევრებად შედიან სკოლის დირექტორი, მანდატური, პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელი, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი, რესურსცენტრის წარმომადგენელი, მოსწავლე. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უფლებამოსილია რეკომენდაციები წარუდგინოს სკოლის დირექტორს, მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში, შეიმუშაოს ინიციატივები სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გამართვის შესახებ და წარუდგინოს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. პედაგოგიურ საბჭოში შედის სკოლის ყველა პედაგოგი. საბჭო ამტკიცებს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და დირექტორის მონაწილეობით სასკოლო სასწავლო გეგმას, წარადგენს საკუთარ კანდიდატს დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში. პედაგოგიურ საბჭოს მრჩეველთა საბჭოში წარმოადგენს თავმჯდომარე.

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ, უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოდგენილია დისციპლინურ კომიტეტში, სამეურვეო საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში დაცულობის შეგრძნების ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

დისციპლინური კომიტეტი შედგება 2 პედაგოგიური საბჭოს მიერ არჩეული მასწავლებლისგან, 2 სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლების არჩეული მშობლისა და 2 საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული მოსწავლისგან. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომას.

საგნობრივი კათედრებში გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი. კათედრა კოორდინირებას უწევს საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლებას. მართავს შეხვედრებს, შეარჩევს საგანმანათლებლო რესურსებს, ზრუნავს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე, შეიმუშავებს სკოლის კურიკულუმის შესაბამის საგნობრივ ნაწილს; ყოველწლიურად ხდება კათედრის თავმჯდომარის არჩევა, რომელიც შესაძლებელია თანამდებობაზე დარჩეს სამი წლის განმავლობაში.

სკოლას ემსახურება განათლების სამინისტროს მართვის საინფორმაციო სისტემის IT სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის ტექნოლოგიებსა და ინტერნეტ ქსელის გამართულობაზე.

სკოლას ყავს საინფორმაციო მენეჯერიც .

შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა;
2. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (HR დოკუმენტი)
3. სტრატეგიული 7 წლიანი გეგმა და სამოქმედო 1 წლიანი გეგმა
4. სკოლის ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის დოკუმენტი
5. სკოლის წესდება .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
7. დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
8. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით

50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები შემუშავებულია მასწავლებლებისთვის, რომელიც რეგულირდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებებით. ასევე სკოლაში მართვის პროცესები რეგულირდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით და ას სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. სკოლის მასწავლებელთან შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სკოლის მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დოკუმენტს, მათ შორის ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის ცნობას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში რომელიმე სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე. სკოლის სხვა პერსონალიც შეირჩევა კონკურსის წესით. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე ან დროებით მოწვეულ პირზე. ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. სკოლაში დასაქმებულია 2 უსტატუსო მასწავლებელი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის #241 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, რადგან სექტემბერში გამოცხადებული კონკურსის შედეგად ვერ შეირჩა სათანადო კვალიფიკაციის კადრი. სკოლას მიმდინარე პერიოდშიც აქვს გამოცხადებული ვაკანსია გერმანული ენის და სპორტის საათებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



ინდიკატორი 3.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით, რაც დასტურდება სკოლის მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებული კონკურსების შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლაში მასწავლებლის მიღება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #174/ ნ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების შესაბამისად. ასევე სხვა პოზიციებზეც კონკურსის წესით ხდება კადრების შერჩევა. მასწავლებელთა პირად საქმეებში სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად, არის ცნობებიც ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის დასაქმებასთან დაკავშირებული პროცესები დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით და სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება:

ა) უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

ბ) უსტატუსო მასწავლებლის ხელშეკრულება

შრომით ხელშეკრულებებში ასახულია სტატუსის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.

კანონით და შიდა სასკოლო რეგულაციებით გათვალისწინებული კვალიფიკაცია უდასტურდებათ სკოლის სხვა

თანამშრომლებსაც, ექიმი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი და სხვა.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.4 „პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“;
სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სრტუქტურული ორგანოების ოქმებით. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც, შესაბამის კომისიებში.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.5 „პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს“ სრულად არის დაკმაყოფილებული.

6. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის თანამშრომლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ წარმატების აღიარება მნიშვნელოვანია მათთვის და სასკოლო საზოგადოების განვითარებისათვის. სკოლის შინაგანაწესში გაწერლია წარმატების აღიარების და დაჯილდოების მექანიზმები. ხდება წარმატებული მოსწავლეებისა და მასწავლებლების სიგელებით დაჯილდოება. კათედრები ხელს უწყობენ მასწავლებელთა გუნდურ მუშაობას, აქტიურია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი; მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აფასებენ და აკეთებენ უკუკავშირის წახალისებისთვის. კარგი გამოცდილება მიიღო სკოლამ „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართულობით. მასწავლებლები ყოველწლიურად უზიარებენ გამოცდილებას კოლეგებს რაიონულ კონფერენციებზე, რისთვისაც სკოლას გადაეცა სერთიფიკატები.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.6 „სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი“ „სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

55

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი
2. შინაგანაწესი
3. შრომითი ხელშეკრულებები
4. პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცესის (ვაკანსიის პაკეტი) მასალები
5. პერსონალის პირადი საქმეები ;
6. თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

56

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა. მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად აქვს შემუშავებული თვითშეფასების კითხვარი, რომელსაც ავსებენ სასწავლო წლის ბოლოს, ამ პროცესს თანამშრომლები აღიქვამენ, როგორც განვითარების უწყვეტ და ყოველდღიურ პროცესს. მომდევნო სასწავლო წლისათვის თითოეულმა მათგანმა იცის, რა მიმართულებით უნდა ჩაერთოს სავალდებულო ტრენინგებში, რომელსაც მასწავლებელთა სახლი ატარებს. ამასთან, მასწავლებელთა დიდი ნაწილი მონაწილეობს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. რომელიც არის გამჭვირვალე და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი პერსონალისთვის, რაც გამოიკვეთა მათთან ინტერვიუს დროს. თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს შეფასება ხორციელდება მათი პროფესიული განვითარებისთვის და წინსვლისთვის. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება-შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი

57

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის, კათედრების საქმიანობის, მასწავლებლის შეფასების კითხვარები.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.1** „სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა სკოლის ბაზაზე წარმოდგენილია კათედრების გეგმებში. ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად. სკოლა სისტემატიურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მასწავლებლები სკოლის ბაზაზე და სკოლის გარეშე არსებული სერვისებითაც ინტერესდებიან. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საჭიროებების მიხედვით მასწავლებლები გუნდურად ერთვებიან ტრენინგებში.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხდება ურთიერთსწავლებით, შეხვედრებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით. სკოლას ნაკლები ყურადღება ჰქონდა გამახვილებული სხვა პერსონალის საჭიროებების დადგენაზე და მის საფუძველზე

58

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გეგმის შედგენაზე, ამიტომ რჩევა მიეცა მეტად დაუთმოს ყურადღება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.2** „პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად **“სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; აღნიშნულ პროცესებს მასწავლებლებთან მიმართებით არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა” და სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება, რომელიც შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დებულებაში გაწერილია ხარისხის მართვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების წესები და პროცედურები, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების ინსტრუმენტები, ანგარიშის, თვითშეფასების, უკუკავშირის ფორმები და ა.შ.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.3** „სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით, სკოლის დირექცია წარადგენს მას სკოლის პედსაბჭოზე ან თათბირზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს და ხელს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

უწყობს ახალ კადრს სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის და გაცნობის მიზნით. სკოლის დირექტორის მიადგილე არის პასუხისმგებელი პირი ვინც ეხმარება ახალ თანამშრომელს ადაპტაციაში. გაწერილი ინტეგრაციის მექანიზმიც. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.4** „სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან“

სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა ინიციატივების წახალისებას. მასწავლებლები თუ საკუთარი ინიციატივით ერთვებიან სხვადასხვა პროექტებში ან ტრენინგებზე, მათ სკოლისგან მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა წარმატების შეფასების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ყოველწლიურად ფასდებიან მასწავლებლები სასწავლო წლის ბოლოს, გასულ სასწავლო წელს წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება მიენიჭა სამ მასწავლებელს, წლის საუკეთესო კლასის ხელმძღვანელი ორ მასწავლებელს, წლის საუკეთესო კათედრის ხელმძღვანელის სტატუსი ერთ მასწავლებელს და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.5** „წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები“ **“სრულად არის დაკმაყოფილებული.”**

დასტურდება (მტკიცებულებები):

60



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი
3. ტრენინგების დამადასტურებელი ცნობები
4. კათედრის მუშაობის დამადასტურებელი ფოტო
5. მასწავლებლების სერთიფიკატები
6. მასწავლებელთა პროექტები
7. მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმები
8. მასწავლებელთა დაჯილდოების მასალები, ფოტო მასალა სერთიფიკატები -
9. პედაგოგიური საბჭოს ოქმი
10. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
11. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

61

Handwritten signature

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესების მართვა გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, სკოლის ათვლის წერტილია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის დაგეგმვა შემდეგი თანმიმდევრობით: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, რევიზია. რაც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განხორციელებას გულისხმობს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი. განსაზღვრულია ჯგუფის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები. ხარისხის ჯგუფი გეგმავს საგანმანათლებლო პროცესების პერიოდულ შეფასებასა და რევიზიას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე, პრინციპის დაცვით.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.1** „სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესების ფარგლებში სკოლას საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული აქვს სტრატეგიული 7 წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა, ხორციელდება ძირითადი

63

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



პროცესები: კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება
მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება და სხვა.

აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ასევე, მკაფიოდ და ნათლად არის გაწერილი შესაბამის დოკუმენტებში კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.2** „იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; კერძოდ, სკოლაში საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო, გასაჩივრების წესი აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და ხელშეკრულებაში. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სხვადასხვა ორგანოს ცხელი ხაზის ნომრები (ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის ნომერი 111, მანდატურის სამსახურის ცხელი ხაზი, განათლების სამინისტროს ცხელი ხაზი) გასაჩივრებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას შიდა და გარე მექანიზმებზე. სკოლა უზრუნველყოფს გასაჩივრების პროცესების წარმომართვას ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.3** „სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ეთიკის კოდექსები, ბავშვთა უფლებები და სხვა. ასევე სასკოლო ღონისძიებებზე, სადამრიგებლო საათებზე და მშობელთა კრებებზე ხდება მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების უფლებების მექანიზმების გაცნობა.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.4** „სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი -

65

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2. სასკოლო-სასწავლო გეგმა

3. მრჩეველთა საბჭო

4. დისციპლინური კომიტეტი

5. გასაჩივრების პროცედურები

მხარდამჭერი ჯგუფების ბრძანება და დოკუმენტაცია -

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი არის თანამშრომლებისთვის ცნობილი, გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია პერსონალისთვის. სკოლის თანამშრომლები ავსებენ თვითშეფასების და საჭიროებების კითხვარს და გათავისებული აქვთ, რომ ეს მათი პროფესიული განვითარებისთვის არის საჭირო. სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისათვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, თიმის პლატფორმას, კლასის ხელმძღვანელებს მესენჯერში შექმნილი აქვთ მშობელთა და მოსწავლეთა ჯგუფები, ფუნქციონირებს მასწავლებელთა

66



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ჯგუფი, მშობელთა კრებები, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება. საჭიროების შემთხვევაში ხდება ფსიქოლოგის ჩართვაც.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.2.1** „სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დაინტერესებული წევრების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები არჩეული არიან კანონმდებლობის დაცვით სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში და მოსწავლეთა თვითმმართველობაში.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.2.2** „უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სასკოლო-სასწავლო გეგმა

2. სტრატეგიული გეგმა

3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. შინაგანაწესი

5. მრჩეველთა საბჭო (შექმნა)

6. ხარისხის განვითარების ჯგუფი

7. ვაკანსიის პროცედურების დოკუმენტები

8. კლასის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი

9. პედაგოგიური საბჭოს ოქმი (დისციპლინური, თვითმმართველობა, სამეურვეო)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

68

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას, სკოლას ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია, აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია, სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებული მრჩეველთა საბჭოს მიერ. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე, „სამოქალაქ უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ N 508 დადგენილების შესაბამისად საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად და ელოდება პასუხს.

სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების დაცვის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა მორიგე მასწავლებლები, სკოლის დარაჯები, არის პირველადი სამედიცინო მომსახურების ოთახი, აღჭურვილი საჭირო მედიკამენტებით. სკოლას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი.

სკოლაში არის სახანძრო სტენდები. არის რეკრეაციული სივრცეები. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული ევაკუაციის გეგმა.

სკოლას მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 2023 წლის 10 ივლისის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების #152 და #150 შესაბამისად დადგინდა, რომ სოფელ ნაქალაქევში (ს/კ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

60.10.33.045) და სოფელ თმოგვში (ს/კ 60.10.31.604) მდებარე სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის შენობების **ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.**

ამის შემდეგ, სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსების გამოყოფის მიზნით და უზრუნველყო ბაზრის კვლევის გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ გამოუყო ნაქალაქევის საჯარო სკოლას დაფინანსება 9637 ლარი სველი წერტილების სარეაბილიტაციოდ და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების გამართვის მიზნით. ამჟამად, სკოლა სამუშაოების განხორციელების ეტაპზეა.

სკოლამ მიმართა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს სკოლის შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის თაობაზე, და მიიღო პასუხი, რომ 11875 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე სკოლის შენობას საჭიროა ჩატარდეს გაძლიერების და სეისმური მდგრადობის ასამაღლებელი სამუშაოები. ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, შენობა ექვემდებარება რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას. მიუხედავად არსებული დეფექტებისა, **შენობის ტექნიკური მდგრადობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია მისი ექსპლუატაცია.** სარეაბილიტაციო სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს გეგმიური კაპიტალური სარემონტო სამუშაოების შესრულების პერიოდში.

სკოლაში სისტემატურად ხორციელდება სკოლის პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება და მისი სისრულეში მოყვანა ევალება ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს. სკოლას გამოყოფილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.1 „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“ არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ ბრძანების საფუძველზე შექმნილი ყავს მრჩეველთა საბჭო, რომლიც კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავს საქმიანობას. სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე მოქმედებს თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესი. სკოლას ჰყავს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის შესასვლელი კონტროლირდება პასუხისმგებელი პირის მიერ, უცხო პირთა სკოლაში შემოსვლა რეგისტრირდება სპეციალურ წიგნში. დისციპლინის განმტკიცების მიზნით, კლასის ხელმძღვანელები მუშაობენ მოსწავლეებთან, აცნობენ შინაგანაწესს, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავენ საკლასო ქცევის წესებს. მორიგე მასწავლებლები აკონტროლებენ მოსწავლეთა ქცევას საკლასო ოთახებში, დერეფნებსა და ეზოში შესვენებებზე, კლასის ხელმძღვანელები სისტემატურად იმყოფებიან სადამრიგებლო კლასებთან. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა სახელმძღვანელოდ იყენებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებას. სკოლის მხრიდან სისტემატურად ხორციელდება **პრევენციული სახის ღონისძიებები**. პრევენციული ღონისძიებები მიემართება არამხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მშობლებსაც. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობებს. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას, რა მიზნითაც სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი და ა.შ. სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას განთავსებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.2 „სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას“**

სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეებთან ატარებენ საუბრებს პრობლემებსა და გამოწვევებზე, მასწავლებლები გამოხატავენ მოსწავლეთა მიმართ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას, ხვდებიან მშობლებს, ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს მოსწავლის მხარდასაჭერად, უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, პრევენციული ღონისძიებები ტარდება ძალადობის წინააღმდეგ, მასწავლებლები ამ მიმართულებით გადიან ტრენინგებს.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.3 „სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს“ სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის საშტატო განრიგით ყავს 3 დამლაგებელი . ამ პერსონალით სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. შემუშავებულია სკოლის ინფრასტრუქტურაზე მორგებული მოვლა-პატრონობის გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია ყოველდღიური, ყოველკვირეული გენერალური დასუფთავების გრაფიკი. ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარე სკოლის საპირფარეშოები მოწესრიგებულია და აღჭურვილია საჭირო

72



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინვენტარით, ხელსაბანი, სასაპნე, ხელსახოცი, არის ადაპტირებული სველი წერტილებიც. საკლასო ოთახები და დერეფნებიც მოწესრიგებულია და კედელზეც გაკრულია ხელის დაბანვის და სანიტარული ნორმების დაცვის წესები. სკოლის ექიმიც მუდმივ მეთვალყურეობას უწევს და ინსტრუქტაჟს უწევს შესაბამის პასუხისმგებელ პერსონალს. სკოლა განცალკევებით ინახავს სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებულ, ამ მიზნებისათვის განკუთვნილ, სათანადოდ მარკირებულ ინვენტარს, რომლის დამუშავება ხდება ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. ასევე, სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიის და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.4 „სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას“ სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული „**პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.**“ სადაც გაწერილია სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლას განსაზღვრული ყავს ბრძანებით სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.5** „სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლას გამოყოფილი ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. გაწერილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, სადაც მითითებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლა მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსა და მნიშვნელობაზე. სკოლა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევას დაუყოვნებლივ აცნობებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და უზრუნველყოფს ასეთი შემთხვევების აღრიცხვას.

სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები/რეგულაციები.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.6** „სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლა რეგულარულად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, ახორციელებს პროცესებზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენს რეაგირებას საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.7** არსებული „სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნაზე
2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შესათანხმებლად გაგზავნილი წერილით)
3. მორიგე მასწავლებლების განრიგი
5. სამედიცინო კაბინეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



6. სახანძრო სტენდები (მიღება-ჩაბარება და ფოტომასალა)
7. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პბრძანება
8. სახანძრო შემოწმების აქტი
9. უცხო პირთა რეგისტრაციის ჟურნალი
11. კლასის ხელმძღვანელის ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე
12. საშტატო განრიგი
13. ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გეგმა
15. კარადაში დაცული მასალების ფოტო ;
16. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
17. მრჩეველთა საბჭოს მასალები (ოქმი, წესი, ბრძანება)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლას საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. სკოლას აქვს ახალი 3 სართულიანი 1987 წელს აშენებული შენობა და სასწავლო ინვენტარი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. სკოლას შიდა მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე განსაზღვრული აქვს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახული ქმედებები ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების განვითარების კუთხით, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტშიც. იგეგმება სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია. სკოლაში ყოველწლიურად ხდება ინვენტარის აღწერა და შეფასება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ.

სკოლის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით. სკოლას აქვს ორი შენობა: ერთი სოფელ ნაქალაქევი და ერთი სოფელ თმოგვი. შენობების მდგრადობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად სახარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ, თუმცა რეკომენდირებულია შენობების სრული რეაბილიტაცია. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სავარაუდო ზღვრული რაოდენობა არის 400 მოსწავლე.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ლაბორატორიები) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.

78



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე, არ აქვს პანდუსი და ლიფტი, მაგრამ ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე. სკოლაში არის ადმინისტრაციისათვის გათვალისწინებული კაბინეტები: დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, არქივი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, სკოლას დამტკიცებული და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა, წიგნები აღრიცხულია და გატრებული სათანადოდ ჟურნალში. ბიბლიოთეკას ამ ეტაპზე, არ გააჩნია საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგი, მაგრამ გამოხატავს მზაობას და მომავლისთვის გეგმავს, ელექტრონული კატალოგის შექმნას და ბიბლიოთეკარის გადამზადებას. სკოლაში არის ტექნოლოგიების კაბინეტი, კომპიურებით და სათანადო ავეჯით აღჭურვილი, მანდატურის ოთახი, დარაჯის ოთახი, ბუფეტი, სამედიცინო კაბინეტი, ინვენტარის სათავსო, საკლასო ოთახები, მათ შორის ორი საკლასო ოთახი დამატებითი სათავსოთი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სათანადო აღჭურვილობით, (ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, მაგრამ ოთახი ნიავედება და ბევრი ცდა ტარდება ვირტუალურადაც. ასევე არ არის ნიჟარა) . სკოლაში ამ ეტაპზე არ არის სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი რესურსოთახი. სკოლას აქვს სპორტდარბაზი თავისი გასახდელებით. სველი წერტილები განთავსებულია პირველ სართულზე განთავსებული, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, საქვაზე განთავსებულია სკოლის ეზოში, არის სათადარიგო გასასვლელები მანიშნებლებით. სკოლას აქვს ყველა ოთახისათვის შესაფერისი და საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მერხები, სკამები, დაფები, კარადები, სამედიცინო ოთახის აღჭურვილობა; სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანიც, რომელსაც იყენებს მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით, სპორტული ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლაში ჩატარდეს სხვადასხვა სახის სათემო და რაიონული შეჯიბრებებიც. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში არ არის ბუფეტისთვის განკუთვნილი ოთახი, მაგრამ მოსწავლეები იკვებებიან სახლიდან წამოღებული საკვებით. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კვების ობიექტის მოწყობას მოსწავლეებისთვის. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა არის ოპტიმიზირებული სკოლა, რის გამოც სკოლას არ აქვს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებელი ხარჯები და დახმარებას ითხოვს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.1** არსებული „სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რაც გულისხმობს მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას.

სასკოლო გარემო, რეკრეაციული სივრცეები, ეზო, უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო აკადემიურ სივრცეს. მოსწავლეებისათვის არ არსებობს შემაფერხებელი გარემოება, რაც შეზღუდავს ხელმისაწვდომობას სკოლაში არსებული რესურსებზე ბიბლიოთეკით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობას. სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა,

80

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



რომელიც დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, გლობუსები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა საჭირო რესურსები. სპორტული დარბაზით და ღია სპორტული მოედნით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გარდა, მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს საკმაოდ მოზრდილი სააქტო დარბაზი, რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო და სხვა) რაც გამოიყენება დასვენებისა და სხვადასხვა აქტივობებისთვის. ასევე, სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ეზო საცდელი ნაკვეთისთვის, ყვავილების ნარგავებისთვის და სხვა პრაქტიკული საქმიანობისთვის. სკოლის სივრცე ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობისთვის. ბიბლიოთეკას წიგნების საცავის გარდა, აქვს სამკითხველო ოთახი, სადაც მყუდრო გარემოში შეუძლიათ მოსწავლეებს მუშაობა და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების დაგეგმვა.

სკოლაში არის უკაბელო ინტერნეტი, სქულბოქსები, მოსწავლეებს შეუძლიათ ინტერნეტით სარგებლობა, თუმცა ინტერნეტის სიჩქარე ნაკლებია.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.2** „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლას არ აქვს უზრუნველყოფილი ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშემწყობი პირობები, რაც თანაბრად ხელმისაწვდომს ხდის საგანმანათლებლო პროცესს. ყველა მოსწავლისთვის. სასკოლო გარემო არ არის ადაპტირებული. სკოლას არ გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მისაწვდომი შესასვლელი პანდუსები, ლიფტი, . სასკოლო საპირფარეშო არ არის ორივე სართულზე და სპორტულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გასახდელელებშიც არ არის მოწყობილი სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის ინფრასტრუქტურა. სკოლას არ აქვს რესურსოთახი, ადაპტირებული ინვენტარით და რესურსებით.

ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლა გეგმავს ადაპტირებული გარემოს მოწყობას სკოლაში.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.3** „სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს“ არ არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განახორციელონ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლებსშორის არსებული პროექტები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფინანსდება სხვადასხვა გარე ფონდების მიერ. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლაში მოეწყოს შეხვედრები, ღონისძიებები. არსებობდეს სივრცეები, აღჭურვილი შესაბამისი ავეჯით/ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ აქვთ დარჩენის, შეკრების, საუბრის შესაძლებლობა. სკოლას აქვს მზაობა, სკოლის სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებული იქნას ადგილობრივი სათემო საზოგადოებისთვის. ხშირად ტარდება სხვადასხვა სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები.

მაგალითად, განხორციელდა სასკოლო პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“, **CEEN** - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის „მოსწავლეებელთა სამოქალაქო ჩართულობა“ ერთ-ერთი ბოლოს დაფინანსებული პროექტი „მოსწავლე-ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია“ განხორციელდა ასპინძის მუნიციპალიტეტსა და მის 5 სოფელში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.4** „სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში ჭარბობს ძველი წიგნები, მაგრამ სკოლა პერიოდულად ამდიდრებს წიგნად ფონდს და სამომავლოდაც გეგმავს ამ პროცესის გაგრძელებას.

საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით ბიბლიოთეკაში, ასევე შესაძლებელია, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილია 1 ლეპტოპი.

ბიბლიოთეკას სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციის გარდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი და კულტურული კომპეტენციების განვითარებაში, კათედრებთან ერთად მუშაობით სხვადასხვა აქტივობების მხარდამჭერია. ამ ეტაპზე ბიბლიოთეკის კატალოგი არის მატერიალური სახის, უახლოეს მომავალში სკოლა გეგმავს ბიბლიოთეკარის გადამზადებას და ელექტრონული კატალოგის შექმნას, რაც სასკოლო საზოგადოებას მისცემს რესურსების გამოყენების მეტ შესაძლებლობას.

სკოლის ბიბლიოთეკისათვის ცალკეა წიგნთსაცავი და არის სამკითხველო ოთახი.

სკოლაში არის რუკები, ლაბორატორიები, სპორტული ინვენტარი და ყველა საჭირო რესურსი კურიკულუმის განხორციელებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად, ინდიკატორი 3.5.1.5 „სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები “ სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. შენობა-ნაგებობის პასპორტი
3. ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი ;
4. ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები ;
5. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
6. ბიბლიოთეკის კატალოგი ;
7. დამხმარე რესურსების ჩამონათვალი (სასკოლო კურიკულუმი)
8. შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან;
9. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

85

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიზანია ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში; სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა.

სკოლის ციფრული განვითარება ორი მიმართულებით იგეგმება: კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და მონაცემების შეგროვება/დამუშავება. ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. სკოლას აქვს 21 ცალი კომპიუტერი და ლეპტოპი, 4 ცალი პროექტორი, 4 პრინტერი. ზოგი კომპიუტერი გამოიყენება ადმინისტრაციისათვის, სკოლას აქვს „ვაიფაის“ უწყვეტი მომსახურების ქსელი, თუმცა ინტერნეტის სიჩქარე დაბალია. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სივრცე, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები და პრინტერი. აქვე შესაძლებელია მასწავლებლებმა იმუშაონ და მოემზადონ გაკვეთილისა თუ ღონისძიებისათვის. სკოლას მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი. სკოლა მთლიანად დაფარულია ინტერნეტით, Wifi არის სკოლის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ცალკეულ კლასებში არის საკაბელო ქსელიც. სკოლის ინტერნეტის სიჩქარე საკმაოდ სუსტია.

სკოლა იყენებს სავალდებულო ელ.ჟურნალს. მასწავლებლების მიერ საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილის სწორად განსაზღვრა ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას, მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. სკოლისათვის ინტერნეტის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.1.1** „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც ის უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვისაც. ტექნიკა ხელმისაწვდომია ყველასთვის გონივრული ოდენობით და დროით. სკოლა არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პროცესს.

სკოლაში არის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს და სკოლის პერსონალს უტარდება ტრენინგები ელექტრონული ფოსტის/ კომუნიკაციის სისტემების (მაგ. Google, office 365 და სხვა პლატფორმები) გამოყენების საკითხებში.

ამასთან, დაწესებულება შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელით, ელ.ფოსტებით, სკოლის ვებ.გვერდით და მის ხელთ არსებული სისტემის მეშვეობით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სკოლის მხრიდან პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი დირექტორის შიდა ბრძანების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროცესების სწორად დაგეგმვა-წარმართვისათვის ინტერნეტი უნდა მუშაობდეს გამართულად, მაგრამ ინტერნეტის სიჩქარე საკმაოდ დაბალია. სკოლაში არის როგორც კაბელიანი, ისე უკაბელო ინტერნეტი და გონივრულად განსაზღვრულია დაფარვის ზონები. სკოლა ცდილობს კომპიუტერული ტექნიკის შეძენა/მოზიდვას სხვადასხვა ინიციატივის, საგრანტო პროექტის, ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობის ფარგლებში სკოლა ცდილობს ელექტრონული რესურსების გამოყენებით მონაცემების მოგროვებისა და მათი დამუშავების შესაძლებლობის დანერგვას.

სკოლას აქვს წესი, როგორ მოიქცევა პანდემიის პირობებში, როგორ შეძლებს მოსწავლეების გადაყვანას ონლაინ სწავლებაზე. . საამისოდ სკოლა უზრუნველყოფს განათლებაზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობას. სკოლას აქვს ინფორმაცია, რამდენ ბავშვს არ აქვს კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობა და ეხმარება მოსწავლეებს გარკვეული პერიოდით სკოლის კომპიუტერის თხოვებით.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.1.2** „ . ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
2. ინტერნეტით უზრუნველყოფის ხელშეკრულება (სქულობოქსის ფოტო)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3. საზიარო სივრცეებით სარგებლობის გეგმა
4. სივრცეების ამსახველი ფოტომასალები

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი და გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება აღნიშნული წესების დაცვით. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და არეგულირებს საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და ა.შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები უნდა იყოს დანომრილია, დირექტორის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და ზონარით შეკრული.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2.1** „სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი“ **“სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow.emis.ge, Email@mes.gov.ge, და ასევე ვიყენებთ ისეთ ტექნოლოგიებს როგორებიცაა: eSchool.emis.ge; Microsoft Teams; Google-ს.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2.2** „სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“ **“სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში ასახავს ინფორმაციებს: ბაზის განახლების შესახებ, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შესახებ, მოსწავლეთა მობილობას, ექსტერნების შედეგებს, სახელმძღვანელოების არჩევას, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას, პირველკლასელთა რეგისტრაციას, კურსდამთავრებულთა ამორიცხვას, სამეურვეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



საბჭოს არჩევნების შედეგებს, საშტატო განრიგის დამტკიცება, გაკვეთილების ცხრილის ასახვა, სასკოლო-საათობრივი ბადის ასახვა, კლასის დამრიგებლების ასახვა და ა. შ.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2. 3** „ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა რეგულარულად აწვდის ინფორმაციებს საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან, საქართველოს პეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, სამეურვეო საბჭოს.

5. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2. 4** „ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

1. საქმისწარმოების წესი
2. ბრძანება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
3. ანგარიშები: მაცნეს, პრეზიდენტს, პარლამენტს
4. დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ სკოლას შეუქმნა ოფიციალური ვებ გვერდი skolebi.emis.ge და ამ გვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო ინფორმაცია. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელში ასახულია სასკოლო ცხოვრების მიმდინარე სიახლეები და აქტივობები, გამოკითხვები, შემოთავაზებები და სხვა.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი/მექანიზმი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ინფორმაციის განთავსებისას დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვა საკომუნიკაციო არხებიც: ინფორმაციული შეხვედრები, როგორც პირისპირ შეხვედრები, ასევე ონლაინ პლატფორმა. ღია კარის დღე, საინფორმაციო შეხვედრა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, რომელიც პროფესიულ ორიენტაციას და კარიერულ დაგეგმვას შეეხება და სხვა.

სკოლა სთავაზობს საკუთარ სივრცეს სასკოლო საზოგადოებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3. 1** „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, სადაც სხვა რეგულაციებთან ერთად გაწერილია, რომ ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლის ყველა თანამშრომელი, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას.

სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კომუნიკაცია სკოლის როგორც

შიგნით, ასევე გარეთ წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების გონივრული ვადა. სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენებაზე, რისთვისაც ცვლიან და ავრცელებენ ინფორმაციას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3. 2** „სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა აწარმოებს გამოკითხვებს მშობლებთან, მოსწავლეებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან, ასევე იღებს უკუკავშირს სოციალური ქსელით და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავს ქმედით ნაბიჯებს სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3. 3** „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლას ახალი გახსნილი აქვს emis დახმარებით ვებ. გვერდი skolebi.emis.ge და ამ გვერდზე არის სივრცე ყველა აუცილებელი ინფორმაციის განსათავსებლად. ამ ეტაპზე სკოლას ატვირთული აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია ქართულ ენაზე. სამომავლოდ კი მუდმივად განაახლებს ახალი ინფორმაციით.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3. 4** „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



ახალი შექმნილი აქვს ვებ. გვერდი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციისთვის გამოკვეთილია სივრცე, თუმცა ამ ეტაპზე სრულად ჯერ არ არის შევსებული, მიმდინარეობს ინფორმაციის ატვირთვა.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.6.3. 5 არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი.
2. სკოლის ვებ გვერდი
3. სკოლის ფეისბუქ გვერდი
4. საინფორმაციო დაფის სურათი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფინანსური რესურსით ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რადგან სკოლა არის ოპტიმიზირებული და სწავლება მიმდინარეობს 2 კორპუსში, სკოლას ყავს 9 პარალელური კლასი, რის გამოც, სკოლის ვაუჩერული დაფინანსება არ არის საკმარისი დასაქმებულთა ხელფასების გასაცემად, ამიტომ სკოლას ყოველთვიურად უწევს დამატებითი თანხის მოთხოვნა სამინისტროდან. ინფრასტრუქტურისთვის და სხვა ხარჯებისთვისაც სკოლას ესაჭიროება დამატებითი თანხა თვეში საშუალოდ 3000 ლარის ფარგლებში. სკოლის ბიუჯეტი არის დეფიციტური.

როგორც დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან გაირკვა, სკოლა წინასწარ ადგენს მომავალი წლის საპროგნოზო ბიუჯეტის გეგმას, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ, როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან ისე დამატებით მისაღებ სავარეუდო შემოსავლებს. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ხმარდება შრომის ანაზღაურებას (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატი), სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთების შეძენას და კომუნალურ გადასახადებს. სკოლა თბება მყარი საწვავით, რომლის ღირებულება აღემატება სკოლის მიერ მიღებულ შემოსავლებს, ამიტომ გათბობის სეზონის პერიოდში საჭიროება არის დამატებითი დაფინანსების მოთხოვნის, რასაც

97

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



იღებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან დანაკლისის შესავსებად. შესყიდვების გეგმის შედგენა ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. სკოლა ფასების შედარებით საუკეთესო პირობების შემთავაზებლებთან აფორმებს ხელშეკრულებებს, კანონით გათვალისწინებულ ვადებში ხდება შესყიდვების გეგმის ატვირთვა.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.7.1. 1** „სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარადგენს ბიუჯეტის გეგმას დასამტკიცებლად ყოველი წლის დეკემბრის თვეში, საჭირო შემთხვევაში ასევე სამეურვეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს კორექტირებულ ბიუჯეტს, ამასთან 10 დეკემბრამდე წარადგენს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. წლის დასაწყისში სკოლა რესურსცენტრს წარუდგენს წლიური ფინანსური ანგარიშის დოკუმენტს (ბალანსს).

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.7.1. 2** „სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიუჯეტი და სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
2. ბოლო წლების დაფინანსების დინამიკა.
3. შესყიდვების გეგმის შესამუშავებელი ინვოისები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

4. სამეურვეო საბჭოს ოქმი და დირექტორის ანგარიში ფინანსური ანგარიშის შესახებ
5. კორექტირებული ბიუჯეტის ოქმი და გეგმა
6. წლიური ბალანსი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

99



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები სკოლაში დარეგულირებულია კანონით გათვალისწინებული პროცედურებით შემუშავებული სკოლის შინაგანაწესით, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლებები, მათი ინტერესები., ამ დოკუმენტში მნიშვნელოვანი აქცენტია წარმატებული მოსწავლეების წახალისებაზე, რომელიც ეფექტურად მოქმედებს, ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, სკოლაში მართვის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა. შემუშავებულია თვითმმართველობის დებულება და სამუშაო გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მათი მონაწილეობა მართვაში, შემუშავებულია მართვის დეტალები, ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შემუშავებულ მიზნების განხორციელებას. სკოლის სამეურვეო საბჭოში არჩეულია თვითმმართველობის წარმომადგენელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭოს სამუშაო პროცესში. ასევე მოსწავლეთა ორი წარმომადგენელი არჩეულია დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში და მონაწილეობენ მის საქმიანობაში.

სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლის ვალდებულებები საჭირო შემთხვევაში მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანა, ინდივიდუალური სამუშაო გეგმების შემუშავება, სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება, მშობლებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულება, რაც შეეხება დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, ამ ეტაპზე არ ხორციელდება.

სკოლაში მოქმედებს გასაჩივრების მექანიზმი, რაც ყველა მოსწავლისთვის ცნობილია და თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული, სადამრიგებლო საათის ფარგლებში და სხვადასხვა აქტივობებისას, მოსწავლეები ეცნობიან საკუთარ უფლებებს, სკოლა მაქსიმუმს აკეთებს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებისათვის, რაც ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში..

100

2.7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.1. 1** „სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალებობის მიზნით, შინაგანაწესი სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, სასწავლო წლის დაწყების პირველი კვირის განმავლობაში მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე განიხილავენ და აცნობენ სასკოლო საზოგადოებას ამ დოკუმენტს., სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი მოსწავლე სისტემატიურად ესწრება სამეურვეო საბჭოს სხდომას, მონაწილეობას ღებულობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებასა და მის კორექტირებაში, სამეურვეო საბჭოზე წარდგენილი დირექტორის ანგარიშების (სასწავლო პროცესის წარმართვისა და საფინანსო საქმიანობის) შეფასებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, ჩართულია დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში.

სკოლა ეფექტურად იყენებს Teams-ის პლატფორმას, ფეისბუქ გვერდს და ელექტრონულ ჟურნალს სასკოლო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმირების ან სხვადასხვა განსხვავებული აზრის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ამ ეტაპზე სკოლას შექმნილი აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, რომელიც ნებისმიერი პროცესის გაზიარებისა და გამჭვირვალობის, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პროცესში უკუკავშირის გათვალისწინებისათვის საუკეთესო საშუალებაა.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.1. 2** „მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება,

101



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

რომელის თითოეული პუნქტი გამომდინარეობს მოსწავლის ინტერესებიდან, ხელშეკრულებას დეტალურად აცნობენ მშობელს, ყველა პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლისა და მობილობით ჩარიცხული მოსწავლის მშობელთან ფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთვალდებულებების შინაარსი, რომელიც ეხმარება მათ სასკოლო საქმიანობაში მათი ეფექტურად ჩართვისათვის

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.1. 3** „მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი - დანართი
2. თვითმმართველობის დებულება ;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი N1 ;
4. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი N1
5. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება
6. სასკოლო-სასწავლო გეგმა

102



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. კლასის მშობელთა კრების ოქმი N1
9. ფეისბუქ-გვერდის ლინკი და სკოლის ვებ გვერდი
10. წახალისების ფორმები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

103



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მინისტრის ბრძანება №04/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი განსაზღვრავს საფეხურის დამლევისა და მობილობის წესს. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული წესებისა და პირობების გამჭვირვალებას და ინფორმაციას აწვდის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, პედაგოგებს და მოსწავლეებს.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.2. 1** „სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს ახორციელებს კანონმდებლობის დაცვით, რაზეც მეტყველებს სკოლაში სწორად წარმოებული დოკუმენტაცია. ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს, ხოლო მობილობის შემთხვევაში, სხვადასხვა სპეციფიკას, მაგალითად რა ენას სწავლობდა და სხვა. საფეხურის დამლევისას, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება და ქულების გამოთვლა, მათი ასახვა ელექტრონულ ჟურნალში ხდება შესაბამისი ვადების დაცვით.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს, ყველა საჭირო დოკუმენტის შედგენას და პროცედურების წარმართვას. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. სკოლაში პირველ კლასში მიღების, ცალკეული ეტაპების თაობაზე ასევე ინფორმირებულია შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომელიც არა მარტო აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას, არამედ შეუძლია კომპეტენტური პასუხი გასცეს დაინტერესებულ პირს მისთვის საინტერესო საკითხებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლა წინასწარ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



საზღვრავს პირველ კლასში მისაღებ კონტინგენტს, პირველკლასელთა მიღებაზე სკოლის მზაობის შესახებ სკოლის ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდება შესაბამისი ინფორმაცია. მოსწავლეთა საფეხურის დამლევის შესახებ, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის უფლების შესახებ სასკოლო საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება სასკოლო-სასწავლო გეგმის გაცნობისას მშობელთა კრებებზე კლასის ხელმძღვანელების მიერ.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.2. 2** „ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;“ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროაა ხელმისაწვდომი ; სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყოფს შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა ჩაცმულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდები, მოსწავლეთა კლასებში განაწილება და სხვა. სკოლის წრეების და პროექტების შესახებ ინფორმაციას სკოლა ან დაბეჭდილი სახით განათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე და/ან სკოლის ვებ-გვერდზე ან ფეისბუქ გვერდზე.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.2. 3** „ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროაა ხელმისაწვდომი “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. კანონმდებლობის შესაბამისად არის შექმნილი სასკოლო კლუბები, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ძალიან საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებენ, ამზადებენ და ახორციელებენ პროექტებს მოსწავლეებისათვის. ამ ეტაპზე კანონმდებლობის შესაბამისი დამატებითი მომსახურებიდან სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, მეზობელ სოფელში მცხოვრები მოსწავლეებისათვის. ტრანსპორტირება ხდება ყოველდღიურად,

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.2. 4** „ . სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.“
სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანება
3. ტრანსპორტირების გრაფიკი
4. სასკოლო კლუბების მასალები
6. საინფორმაციო დაფა
7. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

107

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; სკოლა ატარებს მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებებს და ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას, სერვისების უზრუნველყოფას. სკოლა მზად არის პირველკლასელთა მისაღებად საჭირო გარემოთი, არის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო. ახალი სასწავლო წლისათვის მისაღებ პირველკლასელებს ეცნობიან ჯერ კიდევ სკოლაში მოსვლამდე, მათ მშობლებთან ერთად იწვევენ სკოლაში და აცნობენ სასწავლო გარემოს. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ტრანზიციის გეგმა. სადამრიგებლო პროგრამებშიც ასახულია მოსწავლეთა ადაპტაცია და მხარდაჭერა.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1. 1** „. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;“

სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; მოსწავლეთა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციისათვის სკოლა მზად არის პირველკლასელთა მისაღებად საჭირო გარემოთი, არის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ტრანზიციის გეგმა. სადამრიგებლო პროგრამებშიც ასახულია მოსწავლეთა ადაპტაცია და მხარდაჭერა.

108

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1. 2** „სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; “**სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა წრეებსა და აქტივობებში (მათემატიკის წრე, ისტორიის წრე, საბუნებისმეტყველო წრე და სხვა) მოსწავლეთა მხარდაჭერა ხორციელდება ნიშნის ასამაღლებელი გამოცდისთვის მოსამზადებლად, სადაც მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ. მხარდაჭერილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივებიც. მხარდაჭერას მოსწავლე განმავითარებელი შეფასებების სხვადასხვა ეტაპზე სისტემატურად იღებს. სკოლს საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მათი სურვილები და შემოთავაზებები.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1. 3** „.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; “**სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლას ერთი მხრივ დაცული აქვს

109



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



კანონმდებლობის მოთხოვნები, მაგრამ მეორე მხრივ, სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას, დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში, ხელი არ შეეშალოს მოსწავლეთა უფლებების გამოყენებას. მაგალითად, მოსწავლემ და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა იცის, რომ ნებისმიერი მობილობა შეწყვეტილია 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ასევე XII კლასის პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეზღუდება მობილობის უფლება. მოსწავლეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობენ მათ უფლებებს, მხარდაჭერის პირობებს, იცინ, რომ შეუძლიათ ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება, აცნობენ საგამოცდო ვადებს, იცინ, რომ ეს მხარდაჭერა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის მიერ მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის მასალებში, ყოველივე ეს ეცნობა სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1. 4** „ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს

ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; “

სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; მოსწავლეების ინიციატივით ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვისათვის ახალგაზრდული იდეის ფარგლებში დაწერეს პროექტი და მოიპოვეს 800 ლარის დაფინანსება და შეიძინეს ქიმიური ჭურჭელი.

საბუნებისმეტყველო წრის მოსწავლეებმა ცნობიერების ამაღლებისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ ინტერესის გაძლიერებისათვის მოაწყეს გასვლითი გაკვეთილები ხერთვისის ჰესზე, ასპინძის საავადმყოფოში, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

მოსწავლეებმა ლაბორანტის დახმარებით გააკეთეს შარდის და სისხლის საერთო ანალიზები და CO₂ -ის ქარხანაში, სადაც დაათვალიერეს და შეისწავლეს მშრალი ყინულის მიღება.

ჩაატარეს სასკოლო კონფერენცია გარემოს დაცვასთან დაკავშირებით სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია power point-ის საშუალებით, კონფერენციაზე განხილული იყო შემდეგი თემები (ნიადაგის დაბინძურება, ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძურება, ნაგავსაყრელებზე წარმოქმნილი მავნე აირები) კონფერენციის დასრულების შემდეგ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგეს ნერგები.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1. 5** „ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

7. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მოსწავლეთა ინტერესების წახალისებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მონდომებას და ხელს უწყობს საკლებო მუშაობას.

საბუნებისმეტყველო კლუბი , ბიოლოგიის მასწავლებლის ხელშეწყობით, 2022-2023 სასწავლო წელს ჩართული იყო CENN გარემოს დაცვით ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომლის მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



მოსწავლეახალგაზრდებში ადიქტიური ქცევის შემცირების და მავნე ჩვევების უარყოფითი შედეგების შესახებ. ცნობიერების ამაღლების კუთხით მოხდა დამოკიდებულების გაანალიზება და მათი პრევენცია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებით. მოსწავლეების მიერ შეხვედრები ჩატარდა ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, რომლებსაც ესწრებოდნენ 5 სოფლის (ასპინძა,თმოგვი, ნაქალაქევი, ხიზაბავრა, იდუმალა) მოსწავლეები და მშობლები. შეხვედრა მიმდინარეობდა ინტერაქტიურად , რომელშიც ჩართულები იყვნენ მოსწავლეებიც.დამზადებული ბუკლეტები და პოსტერები განთავსდა ასპინძისმუნიციპალიტეტის 5 სოფელში (ასპინძა, თმოგვი, ნაქალაქევი, ხიზაბავრა, იდუმალა) პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნით, ხელი შეეწყო მავნე ჩვევების აღმოფხვრას და ჯანსაღი გარემოს შექმნას. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს ,მშობლებს, თემს შესაძლებლობა მიეცათ, გაიაზრონ პრობლემის არსი, გაეცნონ კონკრეტულ სიტუაციებს, ყურადღებით შეაფასონ მავნე ჩვევების უარყოფითი მხარეები და პრიორიტეტებად დაისახონ მოზარდის პიროვნული განვითარება.თემასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებით, ისინი შეძლებენ თვითრეალიზებას და თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას.პროექტის ფარგლებში მიღებული თანხით(2485ლ) შეიძინეს მაისურები,კალმები,სერთიფიკატები რომლებიც საჩუქრად გადაეცათ მოსწავლეებს. მშობლებს კი სერთიფიკატები, ასევე სკოლებს გადაეცათ ჰარვარდის სამედიცინო ენციკლოპედია, დაამზადეს პოსტერები, ბროშურები რომლებიც დარიგდა სასკოლო საზოგადოებაში და ასევე თემის მოსახლეობაში.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1. 6** ,, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მოსწავლეთა ინტერესების წახალისებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მონდომებას და ხელს უწყობს საკლებო მუშაობას. “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პირველკლასელთა ოთახის ფოტო და სკოლის გაცნობის დამადასტურებელი ფოტო
2. სასკოლო პროექტი
3. კლუბების ღონისძიებები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

113



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სწავლების პროფესიული ორიენტაციისათვის კლასის ხელმძღვანელები ეფექტიანად იყენებენ კლასის საათს, სადაც სისტემატიურად აცნობენ სხვადასხვა სახის პროფესიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს მათთვის საინტერესო პროფესიის გაცნობაში და ზოგადად, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაში. სკოლას აქვს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გეგმა. გეგმა მოიცავს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის აქტივობებს და სკოლის კურსდამთავრებულების გამოკითხვას, თუ რამდენად დაეხმარა სკოლის მიერ კარიერული დაგეგმვის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერა სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება სამოქმედო გეგმის გადახედვა. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით სკოლა აწყობს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის, ექსკურსიებს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 2. 1.** კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; “**სრულად არის დაკმაყოფილებული.**”

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა სისტემატიურად აწვდის უფროსკლასელ მოსწავლეებს ინფორმაციას კონკრეტული სასწავლებლების ღია კარის დღეების შესახებ, თანამშრომლობს ახალციხის უნივერსიტეტთან, სისტემატიურად მასპინძლობს უნივერსიტეტის მესვეურებს, სადაც მოსწავლეებს პირისპირ შეხვედრებში აცნობენ სხვადასხვა საინტერესო პროგრამებს და პროექტებს, სკოლის უფროსკლასელები მასპინძლობდნენ ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენელს, რომელმაც საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა მოსწავლეებს თავდაცვის აკადემიის შესახებ. სტუმრობდნენ ქ. ახალციხის პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელს- „ოპიზარი“, სადაც ადგილზე დაათვალიერეს სასწავლებლის ინფრასტრუქტურა და შეხვდნენ სპეციალისტებს. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მშობლების ჩართულობაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 2. 2** „სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების

შესაძლებლობებთან დაკავშირებით; “**სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა კლასის ხელმძღვანელებისგან დებულობს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა სასწავლებელში ჩარიცხულ ან შრომითი საქმიანობის დაწყების შესახებ. ყოველწლიურად ხდება კითხვარების შევსება უფროსკლასელების მიერ, რა პროცესის არჩევა სურთ და სკოლისგან რა მოლოდინები აქვთ ხელშეწყობის მიზნით. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, იწერება გეგმა მოსწავლეთა მხარდასაჭერად.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 2. 3** „სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში

ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. “**სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სადამრიგებლო საათების გეგმა პროფორიენტაციაზე
2. უნივერსიტეტის წერილები ღია კარის დღეზე და შეხვედრის მასალები
3. „ოპიზარში“ სტუმრობის მასალები
4. თაცდაცვის აკადემიის ვიზიტის მასალები
5. კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გეგმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ამჟამად, სკოლაში არ სწავლობს არცერთი სსსმ მოსწავლე, თუმცა, სკოლის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაონ შესაბამისი მექანიზმები.

შესაბამისად, ინდიკატორი 4.2. 3. 1 „ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

1. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ამ ეტაპზე, სკოლას არ ჰყავს არცერთი სსსმ მოსწავლე, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მხარდაჭერის მზაობას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების პრინციპები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 3. 2** „სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო-სასწავლო გეგმა
2. სკოლის კურიკულუმი
- 3.
- 4.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომლის მუშაობას მონიტორინგს უწევს და არეგულირებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია. სკოლის მიერ, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მონიტორინგს უწევს მძღოლის მიერ მოსწავლეთა მომსახურებას კანონით გათვალისწინებული დროის ფარგლებში. დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ფარგლებში, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ს საკლუბო მუშაობაში მხარდაჭერას. სამოქალაქო განათლების, საბუნებისმეტყველო კლუბის, მათემატიკის კლუბის, ნორჩ მკითხველთა კლუბის მუშაობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, არის საჭიროება სხვადასხვა მომსახურების, მაგალითად სკოლის ბუფეტის, გახანგრძლივებული ჯგუფის გახსნის, სხვადასხვა სპორტული წრეების შექმნის, თუმცა ამ საკითხების მოგვარება დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის დოკუმენტაციის პრობლემებთან. სკოლას შეუძლია აუქციონის წესით ფართის გაქირავება მოსწავლეთა დამატებითი მომსახურებისთვის. მიმდინარე წელს სკოლას გეგმაში აქვს მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვაზე დაყრდნობით, კიდევ უფრო მეტი დამატებითი მომსახურება შესთავაზოს მოსწავლეებს.

შესაბამისად, ინდიკატორი 4.2. 4. 1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

118

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლა დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათი გამოკითხვის და სურვილების შესაბამისად და და ეს სერვისები შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და სასკოლო საზოგადოებასთან. . ეს სერვისები (წრეები, კლუბები და სხვა) ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და პერსონალურ განვითარებას. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი ანუ არასავალდებულო. ამჟამად, სკოლას არ აქვს ფასიანი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, მაგრამ სამომავლოდ აპირებს მის შეთავაზებას და როგორც სკოლა განმარტავს, შესაბამის ხელშეკრულებებში სხვა პუნქტებთან ერთად იქნება მკაფიოდ გამოყოფილი მისი მიზანი, ღირებულება და ნებაყოფლობითობა. სკოლა სოფელ ნაქალაქევის გარდა, ემსახურება კიდევ 3 სოფლის მოსწავლეებს, საიდანაც 3 ტრანსპორტით ხორციელდება მოსწავლეთა გადმოყვანა. სოფ. თმოგვიდან საშუალო საფეხურზე -10 მოსწავლე, სოფელ ფიადან - 10 მოსწავლე და ჭაჭკარის დასახლებიდან -3 მოსწავლე.

სკოლაში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა საინტერესო პროექტი, ფუნქციონირებს წრეები და კლუბები, სადაც გაწევრიანება ნებაყოფლობითია და განხორციელებული აქტივობები ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 4. 2** „სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირება არ საჭიროებს დამატებით უფლების მოპოვების ვალდებულებას, მაგრამ სკოლის ტერიტორიაზე მათი საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებულია უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ტრანსპორტირების განხორციელებას სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით სახელმწიფო პროგრამით.

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 4. 3** „სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას “ **სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტირებს ტაბელი
2. ბრძანება ტრანსპორტირების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი
3. კლუბების წესდებები
4. პროექტები,

120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხური

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი <u>დაწყებითი საფეხური</u>	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
---	---

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება, საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლის დირექციას. იგი საგნის მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების, (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლების) ინფორმირებულობას, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად ჩართულნი არიან პროცესში. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. კათედრის მიერ შექმნილი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება, ასევე, გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმების მიხედვით განხორციელებელი სასწავლო აქტივობები, მოხდება მასწავლებელთა მიერ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შემუშავდება რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად და სასწავლო პროცესში დასანერგად. მასწავლებლები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლაში კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბებითა („ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი“) და მრავალი არაფორმალური განათლების განვითარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობებით.

ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია მიმდინარე წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით კათედრას აქვს მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე მათი ინტერესების გათვალისწინების გამოცდილება, რაც „მშობლის ბარათის“ გამოყენების პრაქტიკით დასტურდება.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მონახაზი, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც იკვეთება მიმდებლობითი გარემო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

128



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ანიმაციურ ფილმებს, ილუსტრაციებს, პოსტერის ნიმუშებს და ა.შ. აღნიშნული რესურსები მიზნობრივად მიემართება კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ კათედრებზე და ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას კონკრეტული მოსწავლის მიღწევების შესახებ, რის შემდეგაც კათედრის წევრები ერთად განიხილავენ თემებს.

129

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ საგნობრივი ექსპერტების უკუკავშირს და განიხილავენ კათედრების შეხვედრებზე.

ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებს, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე ისეთი დავალებების, იდეების/ძირითადი საკითხების შესასრულებლად, როგორიცაა, მაგალითად, მეგობრული წერილის შექმნა ინტერესებსა და საყვარელ საქმიანობებზე, პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: „ფერმის ძველი და ახალი იერსახე“, წარწერებიანი პოსტერის შექმნა თემაზე: ფერები და ინვენტარი ხელოვნების გაკვეთილისთვის, პრეზენტაცია თემაზე: „ტრანსპორტი“, „ამბის შექმნა“, „თხრობა მთხრობლის შეცვლით“ და სხვ. მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების გააქტიურება. აღნიშნული ნიმუშები, რომლებიც მოიცავს როგორც განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, ისე კომპლექსური დავალებების იდეებს, დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების, გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და შედეგების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

130



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს მრავალფეროვან რესურსებს - მასწავლებლების მიერ შექმნილ მატერიალურ და ელექტრონულ რესურსებს, კომპლექსური დავალებების პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს. მასწავლებლები მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო აქტივობებს, არჩევენ სასწავლო რესურსებს და ახდენენ გარემოს ადაპტირებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა, მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიმართულებით მუშაობის მზაობას გამოთქვამენ.

ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს

დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში

131



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ პრეტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებლები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდოლოგიურ ორიენტირებზე. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებმა ერთად შეიმუშავეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს თემატურ კონტექსტებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლას და მათ შორის დაწყებითი საფეხურის კათედრებსაც, გაზიარებული აქვთ პასუხისმგებლობა „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში“ აღწერილ მიდგომაზე, რაც ახალი კურიკულუმის დაგეგმვას წინარე გამოცდილების, მისი დიაგნოსტიკის საფუძველზე გულისხმობს. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში გათვალისწინებულია წინა გამოცდილება, რაც სკოლას გააჩნია „ახალი სკოლის მოდელიდან“. ამ მიდგომის გამოყენებას სკოლა მიმდინარე სასწავლო წლის პერიოდში და ბოლოსაც გეგმავს, სადიაგნოსტიკო შეფასებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ინსტრუმენტების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

და მათი შესატყვისი პროცედურების გამოყენებით. კათედრის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია დიაგნოსტიკის აქტივობები და ისიც, რომ მათი შედეგების გაანალიზებით მოხდება რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმების განვითარებისთვის. წარმოდგენილ კათედრის ოქმებში კი კარგად ჩანს, რომ სხდომებისას მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ პრაქტიკული სწავლებისას გამოვლენილ პრობლემებს, ანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და ცდილობენ, სწავლა- სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას (ოქმი N1, საკითხი 4 - შემაჯამებელი დავალებების, კომპლექსურების ანალიზის ფორმების და დიაგნოსტიკური წერების შერჩევა-განხილვა).

ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური დავალებები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- პრეზენტაცია - კომპლექსური დავალების განხორციელება პრაქტიკაში (მუსიკა-შემაჯამებელი ფორუმი -2022)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

134

Handwritten signature

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები წარმოაჩენს, რომ დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სადაც ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები განიხილება. მოსწავლე ხდება აქტიური, რადგან წარმოდგენილი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციას და როგორც ჩანს, სწავლობს ფიქრს, მსჯელობას და პრობლემების გადაჭრის გზებს. ნიმუშად წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო პროექტები, სადაც შესამჩნევია პოზიტიური სასკოლო კულტურა, საკლასო კლიმატი კი მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მაგალითად, ნაქალაქევის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა ერთობლივად შეასრულეს პროექტი „სწავლა კეთებით“. ამ პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ჩაატარეს ბევრი ექსპერიმენტი, განახორციელეს სხვადასხვა სახის კვლევა, პროექტის ფარგლებში მიიღეს ფულადი ჯილდო და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღიჭურვა რეაქტივებითა და საჭირო ხელსაწყოებით. მგანხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით საქმიანობებში ჩართვას.

ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ დავალების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამასთან ერთად, პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა მასწავლებლების თვითშეფასების ფორმები, რეფლექსიები, ანგარიშები, კათედრის შეხვედრის ოქმები, საიდანაც დგინდება, რომ ისინი აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, თემატური მატრიცები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. პედაგოგების ნარატივის მიხედვით, მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევის, ინფორმაციის მოძიების, წერის, კითხვის, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიების ეფექტურ გამოყენებას. მოსწავლეებს დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს აქტიურ მუშაობას, რათა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ: დაგეგმვის ციკლის გააზრება, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა, რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება, თვითრეგულაციის სწავლა.

ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, მათში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სამივე სახის ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

137



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. ეს კი ეხმარება სამიზნე ცოდნის სიღრმისეულ გააზრებას და დაგროვებულ ცოდნათა სისტემაში მისთვის ადგილის მიჩენას. მაგალითად გამოდგება ჩვენი საქართველოს კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება, რომელიც ქართლის თემის სწავლებისას მის ციხე-სიმაგრეებზე ბუკლეტის შექმნას გულისხმობს. სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილი ისტორიული ნაგებობების შესწავლა-შედარება მოსწავლეს ეხმარება დაახარისხოს, დააორგანიზოს ცოდნა იმ პერიოდის მახასიათებლებზე, დროის მიხედვით მომხდარ ცვლილებებზე, ნაგებობის ფუნქციების მიხედვით მსგავსება-განსხვავებაზე და ასე შემდეგ, დააკავშიროს ის სხვა მხარის ანალოგიურ ძეგლებთან, მათ ტურისტულ პოტენციალთან. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე სხვადასხვა თემატიკის გაკვეთილებში, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებსა თუ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო ღონისძიებები
- კომპლექსური დავალებები

138



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სასკოლო კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პრეზენტაცია - კომპლექსური დავალების განხორციელება პრაქტიკაში

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

139

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, კათედრის სამოქმედო გეგმის, მასწავლებლებთან წარმართული ინტერვიუების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია ნაცნობ კონტექსტ-მაგალითებთან, აგებულია შესაბამისი სიტუაციების, დეტალების გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. მნიშვნელოვანია, კურიკულუმშიც და სასწავლო პროცესშიც ყოველთვის მუშაობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპი, რომ საგნობრივი საკითხები არის კონტექსტები/ საშუალება გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. ამიტომ ყველა საგნობრივი საკითხის სწავლება (კომპლექსური დავალების მეთოდით თუ სხვა მეთოდით) უნდა ხდებოდეს სამიზნე ცნებაზე, მის მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც გვიჩვენებს კლასგარეშე ღონისძიებებს მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად (მაგალითად, პროექტი „სახლისო მორფოლოგია“, სასკოლო წრე „უნატიფესი ენა ქართული“), სასწავლო პროცესში გამოყენებული წყვილებში მუშაობა და გუნდურად თამაში, რომლის დროსაც ვითარდება კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, სოციალური უნარ-ჩვევები. მოსწავლეები სწავლობენ წესების დაცვას, გუნდურობას, ემპათიას, ემოციების მართვას, რაც

140



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საბოლოოდ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს. კურიკულუმებში გაწერილი მასალა ცხადყოფს ამ მიმართულებით ეფექტიან მუშაობას. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარება პრიორიტეტული საკითხია.

ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების მიზნით კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭვირვალე შეფასებას. ცალ-ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი თუ ზეპირი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. დაწყებით საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის ამსახველი დოკუმენტები სკოლას ცალკეც აქვს წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიც, დანერგილია სოლოტაქსონომია. პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტური უკუკავშირის გაცემას და გამოთქვას მზაობა ეფექტიანად გამოიყენონ შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული საკითხი რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია, კარგად ჩანს „ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გულისხმობს ყველაფერს, რაც შეფასებას უკავშირდება. ის არის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სტანდარტებთან შესაბამისობაში. ფუნქციონირებს ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება, მონიტორინგი, კათედრისა და პედაგოგის სხდომები. აღნიშნულ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული საშუალო საფეხურის მასწავლებლები.

142



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის და არქივის საშუალებით. დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა, სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო
- სასწავლო პროექტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

143



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, ისინი მუდმივად უწყობენ ხელს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას, ცდილობენ, დაადგინონ მოსწავლეთა სირთულეები და დაეხმარონ მათ იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრაში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და მჭიდრო. კათედრის წევრები თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სკოლის მისიაში ცალსახად არის აღებული პასუხისმგებლობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე და ის სკოლისთვის მმართველობითი და ძირითადი პროცესის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ყველა დონეზე. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებულ სწავლებას. გათვალისწინებულია კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის სუბიექტი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები (საკლუბო და პროექტული მუშაობა) ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და მათ განვითარებას უწყობს ხელს. აღიარებულია მოსწავლეთა მიღწევები. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. სკოლას მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის მიღწევის მიზნით დაგეგმილი აქვს სწავლის პროგრესისა და მოსწავლეთა საჭიროებების მონიტორინგი. ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ პედაგოგები სასწავლო პროცესში ორიენტირებულნი არიან მოსწავლეების წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია თითოეული მათგანის ინტერესი და შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მასწავლებლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტურ კომუნიკაციას, რადგან კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლების მიერ შერჩეული და აღწერილი აქტივობები, მეთოდები (დისკუსიები, დებატები, პროექტები, კომპლექსური დავალებები, კლასის ორგანიზების ფორმა-წყვილებში მუშაობა, კლასგარეშე აქტივობები - პროექტები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლუბები, წრეები) სწორედ თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. ხოლო სასკოლო დონეზე სასწავლო პროცესი, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი დაგეგმილი და შექმნილია თანამშრომლობით და გაზიარებული პასუხისმგებლობის გარემოში – კათედრებზე. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ კურიკულუმებს, კომპლექსურ დავალებებს თუ სხვა აქტივობებს ქმნიან, აანალიზებენ ერთობლივად და შემდეგაც რეფლექსიას უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. იგრძნობა პოზიტიური კლიმატი, რაზეც მოწმობს შიდა სასკოლო აქტივობების შემდგომი დადებითი გამოხმაურება, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების მხრიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. ამის დასტურია წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტი - მაგალითად: „მესხეთის იდუმალი საუნჯეები“, „სწავლა კეთებით“ და სხვა. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლაში უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაზე და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ზრუნვა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- პროექტის პრეზენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

147

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და რევიზიის ინსტრუმენტები. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი და დაგეგმილი აქტივობების შედეგის შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგის გაანალიზება და რეკომენდაციები დაეხმარება მათ ახალი კურიკულუმების შემუშავების პროცესში და შედეგების გაუმჯობესებაში. ამ მიზნითვე იგეგმება სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასება წელიწადში ორჯერ, რომლის შედეგებს განიხილავენ კათედრებზე და ასახავენ კურიკულუმებში. სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებებით პროცესის წარმართვის და შედეგები ასახულია 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რომლის შემუშავებასაც გეგმავს, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას და გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის საჭირო ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს გამოცდილება: როდესაც მასწავლებლის მხრიდან ვერ ხერხდებოდა ეფექტური უკუკავშირის მიწოდება მოსწავლეებისთვის, განხორციელდა ფოკუსირებული დაკვირვება, შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავდა რეკომენდაცია, მოხდა ურთიერთდასწრება, სხვა მასწავლებლის გამოცდილების გაზიარება და იმავე მასწავლებლის გაკვეთილზე შედგა მეორადი დაკვირვება, სადაც დაინახა პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზა. სკოლა გეგმავს Ms Forms-ის გამოყენებას დიაგნოსტიკებისათვის, ასევე განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მოდელი კათედრის დონეზე.

ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტიკურებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტექსტუალური, დიაგნოსტიკური ტესტებით და

150



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტიკა, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

151



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაგვეხმარება სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაში. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასებას მრავალმხრივად, მრავალფეროვანი მეთოდების გათვალისწინებით. გასაუბრებისას მასწავლებლების მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება) და მეთოდის (გამოკითხვა, მოსწავლეზე დაკვირვება, ტესტი, კითხვა-პასუხი, დიაგნოსტიკური ტესტი, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი და ა.შ.) გამოყენებით. შეფასება განხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მნიშვნელოვანია მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკა, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების გამოკვეთა. რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება წარიმართება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას კათედრა გაითვალისწინებს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნას, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციურ უნარებს, მასზე ზემოქმედ სხვადასხვა ფაქტორს: ოჯახი, მეგობრები, დრო, სივრცე.

ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიE

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

153



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით ვადგენთ, რომ სკოლა ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“. შესაბამისად, მათ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის, სასკოლო პროექტის განხორციელების, ეროვნულ კონფერენციაში მონაწილეობის გამოცდილება. რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რამდენად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგი წინა წლებთან შედარებით, განისაზღვროს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ან უწყობდნენ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მშობელთა ჩართულობას. სკოლის საჭიროებების და პრიორიტეტების გამოვლენის შედეგად, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო, წარმატებული პრაქტიკის

154



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო კურიკულუმის და სკოლის სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია ის პრინციპები, რომლებიც ემსახურება სასკოლო კურიკულუმის განვითარებას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდა საგნობრივ კათედრებზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო მის განახლებას დოკუმენტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს ყოველწლიურად მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი პრობლემების შესწავლის, წინარე გამოცდილების, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკების, SWOT ანალიზის საფუძველზე. სკოლა ასევე აღნიშნავს, რომ კათედრის წლიური სამუშაოს შეჯამების საფუძველზე შეიმუშავენ კურიკულუმების გადამუშავების მექანიზმს, რომელიც დაეყრდნობა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რაც გათვალისწინებული იქნება ახალ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

156

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი <u>საბაზო საფეხური</u>	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
---	---

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ

158

Handwritten signature

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება, საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლის დირექციას. იგი საგნის მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების, (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლების) ინფორმირებულობას, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად ჩართულნი არიან პროცესში. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. კათედრის მიერ შექმნილი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება, ასევე, გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმების მიხედვით განხორციელებელი სასწავლო აქტივობები, მოხდება მასწავლებელთა მიერ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შემუშავდება რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად და სასწავლო პროცესში დასანერგად. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

159



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლაში კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბებითა („ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი“) და მრავალი არაფორმალური განათლების განვითარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობებით.

ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმში, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია მიმდინარე წლისთვის დასანერგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით კათედრას აქვს მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე მათი ინტერესების გათვალისწინების გამოცდილება, რაც „მშობლის ბარათის“ გამოყენების პრაქტიკით დასტურდება.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მონახაზი, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც იკვეთება მიმდებლობითი გარემო.

დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და

161



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

162



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ანიმაციურ ფილმებს, ილუსტრაციებს, პოსტერის ნიმუშებს და ა.შ. აღნიშნული რესურსები მიზნობრივად მიემართება კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ კათედრებზე და ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას კონკრეტული მოსწავლის მიღწევების შესახებ, რის შემდეგაც კათედრის წევრები ერთად განიხილავენ თემებს. კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ საგნობრივი ექსპერტების უკუკავშირს და განიხილავენ კათედრების შეხვედრებზე.

ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

163



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება. ასევე აკეთებს რეფლექსიას რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად და რას შეცვლიდა სამომავლოდ. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა აგრეთვე უამრავი პროექტი თუ არაფორმალური განათლების განვითარების გაძლიერებისაკენ მიმართული ღონისძიება, რომელიც, ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას, მაგალითად, ბიოლოგიის მასწავლებელი წინა სასწავლო წელს მონაწილეობდა CENN გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომლის ფარგლებშიც უამრავი აქტივობა ჩატარდა მოსწავლეების მიერ. ძირითადი თემა, რასაც ეს პროექტი ეხებოდა მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პოპულარიზაცია იყო.

ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

164



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

საბაზო საფეხურის მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გაითვალისწინონ ეს მიდგომა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. მათ ისაუბრეს სასწავლო გარემოს მოქნილობაზე, სასწავლო პროცესის სწავლის და არა სწავლების პარადიგმაზე, დაგეგმვაზე, მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე და შეფასების დიაგნოსტიკურ დანიშნულებაზე. ასევე გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ბუნება და შერჩეული პროდუქტის მრავალფეროვნება აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწავლის მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა). სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები გამოთქვამენ მზადყოფნას, შეადგინონ ინდივიდუალური გეგმები და წარმოადგინონ ადაპტირებული დავალებები.

ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს

165



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები (ესეს, ინტერვიუს, თხზულების, პრეზენტაციის, ზეპირმეტყველების, პროექტის, რეფერატის, დისკუსიისა და სხვა), რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ პრეტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებლები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდოლოგიურ ორიენტირებზე. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებმა ერთად შეიმუშავეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს თემატურ კონტექსტებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

166



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის აგებისას ხშირად მიმართავენ მინი კვლევას, მოსწავლეთა შედეგების, მათი წინარე ცოდნის შესწავლის მიზნით, აგრეთვე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის მასალებს, გაითვალისწინეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებაც და გამოწვევებიც. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს.

ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N43-კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სამუშაო გეგმა
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლის რეფლექსიები
- კომპლექსური დავალებები
- თემატური მატრიცები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პრეზენტაცია - კომპლექსური დავალების განხორციელება პრაქტიკაში (მუსიკა-შემაჯამებელი ფორუმი -2022)
- პრეზენტაცია - (ხელოვნება-შემაჯამებელი ფორუმი -2022)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

168

Handwritten signature

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, სასწავლო პროექტები, მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები, მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება საკუთარი ინტერესის შესაბამისად ჩაერთონ საგნების მიხედვით შეთავაზებულ აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით შეთავაზებულ ღონისძიებებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარები. სკოლის მიერ საგნების მიხედვით წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი სასწავლო თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, სადაც ჩართული

169



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იქნება ყველა მოსწავლე, იძლევა სწავლებისას თავისუფალი არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შესაძლებლობებისა და შეძენილი უნარების გამოსავლენად. მასწავლებლებთან შეხვედრის, მათ მიერ განხორციელებულმა აქტივობებისა და ახალი კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული, რამდენიმე ნიმუშიდან შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილებზე, საკლასო გარემოში მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის გზით. წახალისებულია შემოქმედებითი დავალებები, იმიტირებულია პრობლემური სიტუაციები, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული დავალებები (მაგალითად, საინტერესო და მხიარული ქიმიური ექსპერიმენტების საღამო, მრავალფეროვანი პოსტერის შექმნა გარემოს დაცვის ღონისძიების ირგვლივ). სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას.

ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი

170



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საკითხები აქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამასთან ერთად, პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა მასწავლებლების თვითშეფასების ფორმები, რეფლექსიები, ანგარიშები, კათედრის შეხვედრის ოქმები, საიდანაც დგინდება, რომ ისინი აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, თემატური მატრიცები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. პედაგოგების ნარატივის მიხედვით, მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევის, ინფორმაციის მოძიების, წერის, კითხვის, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიების ეფექტურ გამოყენებას. მოსწავლეებს დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს აქტიურ მუშაობას, რათა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ: დაგეგმვის ციკლის გააზრება, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სოციო-ემოციური მართვა, რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება, თვითრეგულაციის სწავლა.

ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, მათში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სამივე სახის ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

172



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. ეს კი ეხმარება სამიზნე ცოდნის სიღრმისეულ გააზრებას და დაგროვებულ ცოდნათა სისტემაში მისთვის ადგილის მიჩენას. მაგალითად გამოდგება ჩვენი საქართველოს კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება, რომელიც ქართლის თემის სწავლებისას მის ციხე-სიმაგრეებზე ბუკლეტის შექმნას გულისხმობს. სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილი ისტორიული ნაგებობების შესწავლა-შედარება მოსწავლეს ეხმარება დაახარისხოს, დააორგანიზოს ცოდნა იმ პერიოდის მახასიათებლებზე, დროის მიხედვით მომხდარ ცვლილებებზე, ნაგებობის ფუნქციების მიხედვით მსგავსება-განსხვავებაზე და ასე შემდეგ, დააკავშიროს ის სხვა მხარის ანალოგიურ ძეგლებთან, მათ ტურისტულ პოტენციალთან. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე სხვადასხვა თემატიკის გაკვეთილებში, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებსა თუ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლის რეფლექსია
- კომპლექსური დავალებები
- თემატური მატრიცები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



- კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პრეზენტაცია - კომპლექსური დავალების განხორციელება პრაქტიკაში (მუსიკა-შემაჯამებელი ფორუმი -2022)
- პრეზენტაცია - ხელოვნება (შემაჯამებელი ფორუმი -2022)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

174

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, კათედრის სამოქმედო გეგმის, მასწავლებლებთან წარმართული ინტერვიუების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია ნაცნობ კონტექსტ-მაგალითებთან, აგებულია შესაბამისი სიტუაციების, დეტალების გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. მნიშვნელოვანია, კურიკულუმშიც და სასწავლო პროცესშიც ყოველთვის მუშაობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპი, რომ საგნობრივი საკითხები არის კონტექსტები/ საშუალება გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. ამიტომ ყველა საგნობრივი საკითხის სწავლება (კომპლექსური დავალების მეთოდით თუ სხვა მეთოდით) უნდა ხდებოდეს სამიზნე ცნებაზე, მის მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც გვიჩვენებს კლასგარეშე ღონისძიებებს მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად (მაგალითად, პროექტი „სახლისო მორფოლოგია“, სასკოლო წრე „უნატიფესი ენა ქართული“), სასწავლო პროცესში გამოყენებული წყვილებში მუშაობა და გუნდურად თამაში, რომლის დროსაც ვითარდება კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, სოციალური უნარ-ჩვევები. მოსწავლეები სწავლობენ წესების დაცვას, გუნდურობას, ემპათიას, ემოციების მართვას, რაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საბოლოოდ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს. კურიკულუმებში გაწერილი მასალა ცხადყოფს ამ მიმართულებით ეფექტიან მუშაობას. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარება პრიორიტეტული საკითხია.

ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების მიზნით კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭვირვალე შეფასებას. ცალ-ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი თუ ზეპირი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. საბაზო საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის ამსახველი დოკუმენტები სკოლას ცალკეც აქვს წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიც, დანერგილია სოლოტაქსონომია. პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტური უკუკავშირის გაცემას და გამოთქვას მზაობა ეფექტიანად გამოიყენონ შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული საკითხი რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია, კარგად ჩანს „ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გულისხმობს ყველაფერს, რაც შეფასებას უკავშირდება. ის არის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სტანდარტებთან შესაბამისობაში. ფუნქციონირებს ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება, მონიტორინგი, კათედრისა და პედსაბჭოს სხდომები. აღნიშნულ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული საშუალო საფეხურის მასწავლებლები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის და არქივის საშუალებით. საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა, სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო
- სასწავლო პროექტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

178



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, ისინი მუდმივად უწყობენ ხელს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას, ცდილობენ, დაადგინონ მოსწავლეთა სირთულეები და დაეხმარონ მათ იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრაში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და მჭიდრო. კათედრის წევრები თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სკოლის მისიაში ცალსახად არის აღებული პასუხისმგებლობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე და ის სკოლისთვის მმართველობითი და ძირითადი პროცესის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ყველა დონეზე. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებულ სწავლებას. გათვალისწინებულია კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის სუბიექტი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები (საკლუბო და პროექტული მუშაობა) ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და მათ განვითარებას უწყობს ხელს. აღიარებულია მოსწავლეთა მიღწევები. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. სკოლას მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის მიღწევის მიზნით დაგეგმილი აქვს სწავლის პროგრესისა და მოსწავლეთა საჭიროებების მონიტორინგი. ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ პედაგოგები სასწავლო პროცესში ორიენტირებულნი არიან მოსწავლეების წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია თითოეული მათგანის ინტერესი და შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მასწავლებლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტურ კომუნიკაციას, რადგან კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლების მიერ შერჩეული და აღწერილი აქტივობები, მეთოდები (დისკუსიები, დებატები, პროექტები, კომპლექსური დავალებები, კლასის ორგანიზების ფორმა-წყვილებში მუშაობა, კლასგარეშე აქტივობები - პროექტები,

180



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლუბები, წრეები) სწორედ თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. ხოლო სასკოლო დონეზე სასწავლო პროცესი, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი დაგეგმილი და შექმნილია თანამშრომლობით და გაზიარებული პასუხისმგებლობის გარემოში – კათედრებზე. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ კურიკულუმებს, კომპლექსურ დავალებებს თუ სხვა აქტივობებს ქმნიან, აანალიზებენ ერთობლივად და შემდეგაც რეფლექსიას უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. იგრძნობა პოზიტიური კლიმატი, რაზეც მოწმობს შიდა სასკოლო აქტივობების შემდგომი დადებითი გამოხმაურება, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების მხრიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. ამის დასტურია წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტი - მაგალითად: „მესხეთის იდუმალი საუნჯეები“, „სწავლა კეთებით“ და სხვა. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლაში უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაზე და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ზრუნვა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- პროექტის პრეზენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

182

Handwritten signature

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და რევიზიის ინსტრუმენტები. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი და დაგეგმილი აქტივობების შედეგის შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგის გაანალიზება და რეკომენდაციები დაეხმარება მათ ახალი კურიკულუმების შემუშავების პროცესში და შედეგების გაუმჯობესებაში. ამ მიზნითვე იგეგმება სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასება წელიწადში ორჯერ, რომლის შედეგებს განიხილავენ კათედრებზე და ასახავენ კურიკულუმებში. სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებებით პროცესის წარმართვის და შედეგები ასახულია 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

183



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რომლის შემუშავებასაც გეგმავს, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას და გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის საჭირო ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს გამოცდილება: როდესაც მასწავლებლის მხრიდან ვერ ხერხდებოდა ეფექტური უკუკავშირის მიწოდება მოსწავლეებისთვის, განხორციელდა ფოკუსირებული დაკვირვება, შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავდა რეკომენდაცია, მოხდა ურთიერთდასწრება, სხვა მასწავლებლის გამოცდილების გაზიარება და იმავე მასწავლებლის გაკვეთილზე შედგა მეორადი დაკვირვება, სადაც დაინახა პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზა. სკოლა გეგმავს Ms Forms-ის გამოყენებას დიაგნოსტიკებისათვის, ასევე განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მოდელი კათედრის დონეზე.

ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტიკას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში

185



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტიკა, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

186



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაგეხმარება სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაში. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასებას მრავალმხრივად, მრავალფეროვანი მეთოდების გათვალისწინებით. გასაუბრებისას მასწავლებლების მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება) და მეთოდის (გამოკითხვა, მოსწავლეზე დაკვირვება, ტესტი, კითხვა-პასუხი, დიაგნოსტიკური ტესტი, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი და ა.შ.) გამოყენებით. შეფასება განხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მნიშვნელოვანია მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკა, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების გამოკვეთა. რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება წარიმართება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას კათედრა გაითვალისწინებს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნას, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციურ უნარებს, მასზე ზემოქმედ სხვადასხვა ფაქტორს: ოჯახი, მეგობრები, დრო, სივრცე.

ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიE

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით ვადგენთ, რომ სკოლა ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“. შესაბამისად, მათ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის, სასკოლო პროექტის განხორციელების, ეროვნულ კონფერენციაში მონაწილეობის გამოცდილება. რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რამდენად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგი წინა წლებთან შედარებით, განისაზღვროს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ან უწყობდნენ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მშობელთა ჩართულობას. სკოლის საჭიროებების და პრიორიტეტების გამოვლენის შედეგად, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო, წარმატებული პრაქტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო კურიკულუმის და სკოლის სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია ის პრინციპები, რომლებიც ემსახურება სასკოლო კურიკულუმის განვითარებას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდა საგნობრივ კათედრებზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო მის განახლებას დოკუმენტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს ყოველწლიურად მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი პრობლემების შესწავლის, წინარე გამოცდილების, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკების, SWOT ანალიზის საფუძველზე. სკოლა ასევე აღნიშნავს, რომ კათედრის წლიური სამუშაოს შეჯამების საფუძველზე შეიმუშავებენ კურიკულუმების გადამუშავების მექანიზმს, რომელიც დაეყრდნობა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რაც გათვალისწინებული იქნება ახალ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება
II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი <u>საშუალო საფეხური</u>	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
---	---

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება, საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლის დირექციას. იგი საგნის მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების, (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლების) ინფორმირებულობას, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად ჩართულნი არიან პროცესში. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. კათედრის მიერ შექმნილი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება, ასევე, გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმების მიხედვით განხორციელებელი სასწავლო აქტივობები, მოხდება მასწავლებელთა მიერ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შემუშავდება რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად და სასწავლო პროცესში დასანერგად. მასწავლებლები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლაში კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა სკოლაში ფუნქციონირებული კლუბებითა („ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი“) და მრავალი არაფორმალური განათლების განვითარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობებით.

ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია მიმდინარე წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით კათედრას აქვს მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე მათი ინტერესების გათვალისწინების გამოცდილება, რაც „მშობლის ბარათის“ გამოყენების პრაქტიკით დასტურდება.

ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მონახაზი, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც იკვეთება მიმდებლობითი გარემო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, საშუალო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები და როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

197



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ანიმაციურ ფილმებს, ილუსტრაციებს, პოსტერის ნიმუშებს და ა.შ. აღნიშნული რესურსები მიზნობრივად მიემართება კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ კათედრებზე და ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას კონკრეტული მოსწავლის მიღწევების შესახებ, რის შემდეგაც კათედრის წევრები ერთად განიხილავენ თემებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ საგნობრივი ექსპერტების უკუკავშირს და განიხილავენ კათედრების შეხვედრებზე.

ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესაქმნელადაც მას უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა და გააკეთოს დასკვნები. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება. ასევე აკეთებს რეფლექსიას რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად და რას შეცვლიდა სამომავლოდ. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა აგრეთვე უამრავი პროექტი თუ არაფორმალური განათლების განვითარების გაძლიერებისაკენ მიმართული ღონისძიება, რომელიც, ხელს უწყობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ X და XI კლასის კომპლექსური დავალებები: „აბოს წამება“ მკითხველის თეატრში წარსადგენად, ანალიტიკური ესე თემაზე: „წარსულის განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“, ბლოგის წარმოება საკუთარი ჰოროსკოპის შესახებ, საინფორმაციო შემეცნებითი ტექსტების შექმნა და სხვა.

ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

საშუალო საფეხურის მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გაითვალისწინონ ეს მიდგომა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. მათ ისაუბრეს სასწავლო გარემოს მოქნილობაზე, სასწავლო პროცესის სწავლის და არა სწავლების პარადიგმაზე, დაგეგმვაზე, მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე და შეფასების დიაგნოსტიკურ დანიშნულებაზე. ასევე გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ბუნება და შერჩეული პროდუქტის მრავალფეროვნება აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწავლის მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იქნება (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა). სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა საჭიროების

200



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შემთხვევაში მასწავლებლები გამოთქვამენ მზადყოფნას, შეადგინონ ინდივიდუალური გეგმები და წარმოადგინონ ადაპტირებული დავალებები.

ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს

საშუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები (ესეს, ინტერვიუს, თხზულების, პრეზენტაციის, ზეპირმეტყველების, პროექტის, რეფერატის, დისკუსიისა და სხვა), რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ პრეტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებლები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდოლოგიურ ორიენტირებზე. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებმა ერთად შეიმუშავეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს თემატურ კონტექსტებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის აგებისას ხშირად მიმართავენ მინი კვლევას, მოსწავლეთა შედეგების, მათი წინარე ცოდნის შესწავლის მიზნით, აგრეთვე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის მასალებს, გაითვალისწინეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებაც და გამოწვევებიც. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა ადგენს ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს.

ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)
- საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო
- პროექტის შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

203



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

- 1.2. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

204

2.7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, სასწავლო პროექტები, მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები, მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება საკუთარი ინტერესის შესაბამისად ჩაერთონ საგნების მიხედვით შეთავაზებულ აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით შეთავაზებულ ღონისძიებებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარები. სკოლის მიერ საგნების მიხედვით წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი სასწავლო თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე, იძლევა სწავლებისას თავისუფალი არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შესაძლებლობებისა და შეძენილი უნარების გამოსავლენად. მასწავლებლებთან შეხვედრის, მათ მიერ განხორციელებულმა აქტივობებისა და ახალი კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული, რამდენიმე ნიმუშიდან შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილებზე, საკლასო გარემოში მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის გზით. წახალისებულია შემოქმედებითი დავალებები, იმიტირებულია პრობლემური სიტუაციები, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული დავალებები (მაგალითად, სასამართლო პროცესი ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას მიხედვით). სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას.

ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

205



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაც კათედრა მუშაობს საგნობრივ კურიკულუმებზე. ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას (მაგალითად, მე-10 კლასში კომპლექსური დავალებაში „მკითხველთა თეატრი“ „აბო თბილელის წამების“ სწავლებისას - წინარე ცოდნას ააქტიურებს შეკითხვები: თუ განვიცდით ოდესმე ძლიერი შიში? შეგიძლიათ აღწეროთ, რა არის შიში, ანუ რას გრძნობს შეშინებული ადამიანი? როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა შიშის დაძლევა?). კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამასთან ერთად, პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა მასწავლებლების თვითშეფასების ფორმები, რეფლექსიები, ანგარიშები, კათედრის შეხვედრის ოქმები, საიდანაც დგინდება, რომ ისინი აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

206



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, თემატური მატრიცები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. პედაგოგების ნარატივის მიხედვით, მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევის, ინფორმაციის მოძიების, წერის, კითხვის, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიების ეფექტურ გამოყენებას. მოსწავლეებს დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს აქტიურ მუშაობას, რათა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ: დაგეგმვის ციკლის გააზრება, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა, რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება, თვითრეგულაციის სწავლა.

ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, მათში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სამივე სახის ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები (მაგალითად, მე-11 კლასის კომპლექსური დავალება - „ილია ჭავჭავაძის

207



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

„მგზავრის წერილების“ ჟანრული მახასიათებლების გათვალისწინებით მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების დაწერა სათაურით: „თანამედროვე მგზავრის წერილები“) ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, მოქმედებასა და ნაბიჯების თანმიმდევრობით დაგეგმვა-განხორციელებასა და შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. ეს კი ეხმარება სამიზნე ცოდნის სიღრმისეულ გააზრებას და დაგროვებულ ცოდნათა სისტემაში მისთვის ადგილის მიჩენას. მაგალითად გამოდგება ჩვენი საქართველოს კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება, რომელიც ქართლის თემის სწავლებისას მის ციხე-სიმაგრეებზე ბუკლეტის შექმნას გულისხმობს. სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილი ისტორიული ნაგებობების შესწავლა-

208



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შედარება მოსწავლეს ეხმარება დაახარისხოს, დააორგანიზოს ცოდნა იმ პერიოდის მახასიათებლებზე, დროის მიხედვით მომხდარ ცვლილებებზე, ნაგებობის ფუნქციების მიხედვით მსგავსება-განსხვავებაზე და ასე შემდეგ, დააკავშიროს ის სხვა მხარის ანალოგიურ ძეგლებთან, მათ ტურისტულ პოტენციალთან. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე სხვადასხვა თემატიკის გაკვეთილებში, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებსა თუ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლეთა ნამუშევრები
- საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო
- პროექტის შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- მასწავლებლის რეფლექსია
- კომპლექსური დავალებები
- თემატური მატრიცები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

209



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- 1.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, კათედრის სამოქმედო გეგმის, მასწავლებლებთან წარმართული ინტერვიუების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები (მაგალითად, მე-10 კლასის კურიკულუმში შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეა: გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ინტერნეტში მოძიებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურის შედგენა: „გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე“) კავშირშია ნაცნობ კონტექსტ-მაგალითებთან, აგებულია შესაბამისი სიტუაციების, დეტალების გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი

210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

წარმოდგენების გათავისებაში. მნიშვნელოვანია, კურიკულუმშიც და სასწავლო პროცესშიც ყოველთვის მუშაობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპი, რომ საგნობრივი საკითხები არის კონტექსტები/ საშუალება გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. ამიტომ ყველა საგნობრივი საკითხის სწავლება (კომპლექსური დავალების მეთოდით თუ სხვა მეთოდით) უნდა ხდებოდეს სამიზნე ცნებაზე, მის მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კომპლექსური დავალებები და ღონისძიებები (მაგალითად, მე-10 კლასის კომპლექსური დავალება - „აბოს წამების“ მომზადება მკითხველის თეატრში წარსადგენად, დამატებითი რესურსი - ფილმი „დავით გურამიშვილი“, მოსწავლეთა ინტერვიუ ნამდვილი ხევისბრის შვილთან და სხვ.), სასწავლო პროცესში გამოყენებული წყვილებში მუშაობა და გუნდურად თამაში, რომლის დროსაც ვითარდება კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, სოციალური უნარ-ჩვევები. მოსწავლეები სწავლობენ წესების დაცვას, გუნდურობას, ემპათიას, ემოციების მართვას, რაც საბოლოოდ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს. კურიკულუმებში გაწერილი მასალა ცხადყოფს ამ მიმართულებით ეფექტიან მუშაობას. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარება პრიორიტეტული საკითხია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების მიზნით კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. ამ ინსტრუმენტთა გამოყენებით მასწავლებლები თვალს ადევნებენ მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი წლის განმავლობაში, იღებენ ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის შეფასების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარება, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭვირვალე შეფასებას. ცალ-ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი თუ ზეპირი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. საშუალო საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,

212



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

რომლის ამსახველი დოკუმენტები სკოლას ცალკეც აქვს წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიც, დანერგილია სოლოტაქსონომია. პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტური უკუკავშირის გაცემას და გამოთქვენ მზაობა ეფექტიანად გამოიყენონ შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული საკითხი რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია, კარგად ჩანს „ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გულისხმობს ყველაფერს, რაც შეფასებას უკავშირდება. ის არის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სტანდარტებთან შესაბამისობაში. ფუნქციონირებს ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება, მონიტორინგი, კათედრისა და პედსაბჭოს სხდომები. აღნიშნულ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული საშუალო საფეხურის მასწავლებლები.

ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის და არქივის საშუალებით. საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა, სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში.

ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩო
- სასწავლო პროექტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

214



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, ისინი მუდმივად უწყობენ ხელს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას, ცდილობენ, დაადგინონ მოსწავლეთა სირთულეები და დაეხმარონ მათ იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრაში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და მჭიდრო. კათედრის წევრები თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამეობა სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მისიაში ცალსახად არის აღებული პასუხისმგებლობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე და ის სკოლისთვის მმართველობითი და ძირითადი პროცესის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ყველა დონეზე. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებულ სწავლებას. გათვალისწინებულია კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის სუბიექტი, რაც ზრდის ავტონომიურობის

215



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

განცდას. არაფორმალური აქტივობები (საკლუბო და პროექტული მუშაობა) ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და მათ განვითარებას უწყობს ხელს. აღიარებულია მოსწავლეთა მიღწევები. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. სკოლას მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის მიღწევის მიზნით დაგეგმილი აქვს სწავლის პროგრესისა და მოსწავლეთა საჭიროებების მონიტორინგი. ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ პედაგოგები სასწავლო პროცესში ორიენტირებულნი არიან მოსწავლეების წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია თითოეული მათგანის ინტერესი და შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მასწავლებლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტურ კომუნიკაციას, რადგან კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლების მიერ შერჩეული და აღწერილი აქტივობები, მეთოდები (დისკუსიები, დებატები, პროექტები, კომპლექსური დავალებები, კლასის ორგანიზების ფორმა-წყვილებში მუშაობა, კლასგარეშე აქტივობები - პროექტები, კლუბები, წრეები) სწორედ თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. ხოლო სასკოლო დონეზე სასწავლო პროცესი, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი დაგეგმილი და შექმნილია თანამშრომლობით და გაზიარებული პასუხისმგებლობის გარემოში – კათედრებზე. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაადასტურეს, რომ კურიკულუმებს, კომპლექსურ დავალებებს თუ სხვა აქტივობებს ქმნიან, აანალიზებენ ერთობლივად და შემდეგაც რეფლექსიას უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში არის ჯანსაღი, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ ატმოსფეროში და მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ. იგრძნობა პოზიტიური კლიმატი, რაზეც მოწმობს შიდა სასკოლო აქტივობების შემდგომი დადებითი გამოხმაურება, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების მხრიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს მრავალ აქტივობას. ამის დასტურია წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტი - მაგალითად: „მესხეთის იდუმალი საუნჯეები“, „სწავლა კეთებით“ და სხვა. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლაში უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნაზე და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს ზრუნვა დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნაზე.

ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები
- დანართი N12-სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

218



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და რევიზიის ინსტრუმენტები. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი და დაგეგმილი აქტივობების შედეგის შეფასება. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების შედეგის გაანალიზება და რეკომენდაციები დაეხმარება მათ ახალი კურიკულუმების შემუშავების პროცესში და შედეგების გაუმჯობესებაში. ამ მიზნითვე იგეგმება სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასება წელიწადში ორჯერ, რომლის შედეგებს განიხილავენ კათედრებზე და ასახავენ კურიკულუმებში. სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებებით პროცესის წარმართვის და შედეგები ასახულია 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რომლის შემუშავებასაც გეგმავს, რაც

219



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას და გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის საჭირო ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს გამოცდილება: როდესაც მასწავლებლის მხრიდან ვერ ხერხდებოდა ეფექტური უკუკავშირის მიწოდება მოსწავლეებისთვის, განხორციელდა ფოკუსირებული დაკვირვება, შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავდა რეკომენდაცია, მოხდა ურთიერთდასწრება, სხვა მასწავლებლის გამოცდილების გაზიარება და იმავე მასწავლებლის გაკვეთილზე შედგა მეორადი დაკვირვება, სადაც დაინახა პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზა. სკოლა გეგმავს Ms Forms-ის გამოყენებას დიაგნოსტიკებისათვის, ასევე განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მოდელი კათედრის დონეზე.

ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

220



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზგასმით განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტიკურ მონაცემთა მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება საშუალო საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სოლო ტაქსონომიით, დიაგნოსტიკური ტესტებით და ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი ამცირებს ცდომილებას შეფასებაში და მიიღება რეალური სურათი, რომელსაც გაითვალისწინებენ და ასახავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში.

221

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები შეფასებისას უპირატესობას კომპლექსურ და კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებენ. გეგმავენ, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლას შექმნილი აქვს საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კომპლექსური დავალებების შეფასება მოხდება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მიღწევების დიაგნოსტიკა, შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკები დახვეწონ და განავითარონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც

222



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაგეხმარება სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაში. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასებას მრავალმხრივად, მრავალფეროვანი მეთოდების გათვალისწინებით. გასაუბრებისას მასწავლებლების მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება) და მეთოდის (გამოკითხვა, მოსწავლეზე დაკვირვება, ტესტი, კითხვა-პასუხი, დიაგნოსტიკური ტესტი, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი და ა.შ.) გამოყენებით. შეფასება განხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მნიშვნელოვანია მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკა, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების გამოკვეთა. რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება წარიმართება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას კათედრა გაითვალისწინებს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნას, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციურ უნარებს, მასზე ზემოქმედ სხვადასხვა ფაქტორს: ოჯახი, მეგობრები, დრო, სივრცე.

ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

223



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის ხელოვნების და მუსიკის სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო
- პროექტის შეფასების რუბრიკები (ხელოვნება, მუსიკა)
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

224

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით ვადგენთ, რომ სკოლა ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“. შესაბამისად, მათ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის, სასკოლო პროექტის განხორციელების, ეროვნულ კონფერენციაში მონაწილეობის გამოცდილება. რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რამდენად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგი წინა წლებთან შედარებით, განისაზღვროს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ან უწყობდნენ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მშობელთა ჩართულობას. სკოლის საჭიროებების და პრიორიტეტების გამოვლენის შედეგად, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმავს მისი საუკეთესო, წარმატებული პრაქტიკის გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და მონაცემების შეგროვების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო კურიკულუმის და სკოლის სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

225



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია ის პრინციპები, რომლებიც ემსახურება სასკოლო კურიკულუმის განვითარებას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდა საგნობრივ კათედრებზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო მის განახლებას დოკუმენტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს ყოველწლიურად მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი პრობლემების შესწავლის, წინარე გამოცდილების, მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკის, SWOT ანალიზის საფუძველზე. სკოლა ასევე აღნიშნავს, რომ კათედრის წლიური სამუშაოს შეჯამების საფუძველზე შეიმუშავენ კურიკულუმების გადამუშავების მექანიზმს, რომელიც დაეყრდნობა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რაც გათვალისწინებული იქნება ახალ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

226



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

17.11.2023

თარიღი

227

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თ. ზეიძე
ა. ჯანაძე
ნ. ჯანაძე
ს. ჯანაძე

ს. ჯანაძე

ს. ჯანაძე
ს. ჯანაძე
ს. ჯანაძე

ს. ჯანაძე
ს. ჯანაძე

ს. ჯანაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: